

საქართველოს კულტურის სამინისტრო
საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი



ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა
„ლიტერატურის მაგიანე“

შემდგენელი და რედაქტორი
იზა ორჯონიკიძე

ღიზინი
ჯაბა ასათიანისა

კორექტორი
ნათია ჯაჯანიძე

აიწყო და დაკაბადონდა ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმის კომპიუტერულ ცენტრში
ხათუნა ჩიკაშუა
ირინე ამირიძე

წიგნი დააფინანსა
ქ. თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის
საქალაქო სამსახურმა

დაიბეჭდა
შპს „ფორმა“-ში

ISBN 99940-28-00-6

99940-28-23-5

პეტრე
ბაგრატიონ-გრუზინსკი



გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“

თბილისი
2004

რედაქტორის აცხადება

პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი მხოლოდ ერთხელ ვნახე.

კარგად მახსოვს, რომ პროფკავშირების მუშაკთა სახლში შემოქმედებითი საღამო გაუმართეს და მისი ოჯახის მეგობარმა ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ძველმა და ამაგდარმა თანამშრომელმა, ან განსვენებულმა ქალბატონმა სულიკო კობიძემ მომიტანა მოსანვევი, თან დაიყინა, აუცილებლად უნდა გაგაცნოთ თეზიკა (ასე ეძახდნენ უახლოესნი), როგორ შეიძლება თქვენ ერთმანეთს არ იცნობდეთო...

აი, ასე აღმოვჩნდი იმ ღირსახსოვარი საღამოს დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მეგობრებით გარშემორტყმული ბატონი პეტრეს წინაშე... ხელი ისე გამომიწოდა, კარგად არც შემოუხედავს — სასიამოვნოაო — ისე წარმოთქვა, როგორადაც კარგად აღზრდილ კაცს შეაფერის და ასეთ შემთხვევებში გახლავთ მიღებული...

ყურადღებებაგაფანტული, შემკრთალი და დაბნეული მეჩვენა, ისიც კი გავიფიქრე, ალბათ, გადაჭედილი დარბაზი და ჩვენებური, ხმაურიანი საღამო-ქალამი ანუხებს მეთქი... რატომღაც ზღარბს შევადარე...

განგებამ ასე იწვია — როცა მის არქივს ვეცნობოდი, მისი დანატოვარიდან საუკეთესოს ვარჩევდით, რომ მკითხველი საზოგადოებისათვის მისი შემოქმედების მცირედი ნაწილი შეგვეთავაზებინა და განდგომილი, მაგრამ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცის სახელი ახალი თაობის გასაგონადაც გვეხსენებინა, გული დამწყდა, უფრო კი, მომენტატრა ადამიანი, რომელთანაც მეგობრობა და სიახლოვე ჭეშმარიტად დიდი პატივი და ბედნიერება იქნებოდა ჩემთვის.

და მაინც, ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო დიდი ხნის წინათ, ჩვენი ნამდვილი შეხვედრა და მეგობრობა გვიან, ძალიან გვიან, მაგრამ მაინც შედგა. ადამიანურ სიახლოვესა და თანაზიარებას მხოლოდ მონათესავე სულთა ურთიერთშეგრძნება შობს...

მჯერა, ამ კრებულის გამოცემა სიხარულის ცრემლს მოგვრის ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ბაგრატიონთან სახელოვანი გვარის ერთერთი ბრწყინვალე და ბედისწერით დაღდასმული ნაშეირის ცხოვრება და ღვანლი...

და ბოლოს, მინდა გულითადი მადლობა ვუთხრა ქალბატონ ლია მგელაძეს — პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ბორგნეული და მშვენიერი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს ამ წიგნის გამოსაცემად მომზადებისას განუღი დახმარებისათვის.

მადლობას მოვახსენებთ თბილისის მერიას და მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს ბატონ დავით ოქიტაშვილს ფინანსური მხარდაჭერისათვის.

0. 0.

2004 წლის 7 აპრილს



*„მე შენზე ლოცვით
ავიდგი ენა,
მინას ვეოცნიდი ხარბად
და სხვა ღმერთები არა მყოლია,
ჩემი სამშობლოს გარდა“.*

* * *

შიშში აღზრდილი,
 უნდობლობაში დაკაცებული,
 ციხის მუქარით გაწამებული
 მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა,
 ვისაც ღალატად უთვლიდნენ სინდისს
 და უმეცრებად გამბედაობას.

სხვისი ბრძანებით ნამღერი ჰიმნით,
 სხვისი კარნახით წაკითხულ წიგნით,
 დობერმანივით ერთნაირი გარეთ თუ შიგნით
 მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა.

ან გაყიდული სულით ზორცამდე,
 ან ციხე-ციხე ნათრევე-ნაცემი,
 ან დარდით ღვინის კასრში ჩამხრჩვალნი,
 ან ჩინ-მედლებით საეხე, გამცემი.

რას მქონდა წმინდა -
 ყველაფერი სულში დაობდა,
 თან მეზიზღება, თან მეცოდება
 ჩემი თავიც და ჩემი თაობაც.

რა გააჩნია – რა დატოვოს, რა გაიხსენოს,
 პირუტყვის შიში, გადამდები სენი – საზარი,
 თუ თავის ლანდი ცისფერ ქუდით, რუსი მაზარით,
 და სასაკლავო უზარმაზარი,
 თუ თავის ყოფის სირცხვილი და არარაობა?!
 მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა.

დღეს თამაშია ვნებათა ღელვის, მხოლოდ თამაში
 გრძელი, გაბმული,
 სურვილი იმის, რაც სულს აკლია,
 ეს სპექტაკლია
 ცუდად დადგმული
 და ყალბი ასლი სინამდვილისა.
 ქალები – ბერწი,
 ვაჟი – ცვედანი,
 აი, დედანი...

პეი, მსაჯულო, მომავალ უმაღლეს რანგის,
 სანამ მსჯავრს დასდებ ჩემ თაობას,
 აქ სუნმა რომ არ შეგაწუხოს, მთვარეზე ადი –
 იქიდან უფრო შორს იქნება ეს დედამიწა
 დამპალი სისხლით და ათაშანგით.

* * *

ვიღაცა მღერის შენს სიმღერას,
ვიღაცა მღერის,
ცა სევდისფერი
მძიმე ლოდად მაწვება მკერდზე,
მე ვფიქრობ შენზე,
მხოლოდ შენზე,
და შემოდგომის ყვავილები შემდგარნი ცერზე,
გულებს ითბობენ გათოშილ მზეზე.
მე ვფიქრობ შენზე,
ისევ შენზე,
ასე მგონია,
თვითონ მკვდრებიც დგებიან ზეზე,
მაშინ, როდესაც მე ვფიქრობ შენზე,
ვიღაცა მღერის,
ცა სევდისფერი,
შენი თვალების უთქმელი ცქერით
სულში ჩამყურებს,
მთვარე ჰკიდია ცაში, როგორც კენტი საყურე,
და მე დამცინის,
რომ ეს მანძილი,
უსასრულოდ შორი მანძილი,
რომელიც შენგან ასე მაშორებს,

უფრო მაგიყებს... უფრო მაშფოთებს.
ვიღაცა მღერის, ნეტავ ვინ არის,
შენს სიმღერას ვინ ამახინჯებს.
ასე მგონია,
გულზე ვიღაც მძიმედ მაბიჯებს,
ვითვლი ნაბიჯებს,
და მაინც ვუსმენ, რატომღაც ვუსმენ
და უძღურება ჩემი მაგიყებს...
ვიღაცა მღერის,
შენს სიმღერას ვიღაცა მღერის,
ცა სევდისფერი
მძიმე ლოდად მაწვება მკერდზე...
მე ვფიქრობ შენზე,
მხოლოდ შენზე,
და ისევ შენზე...

1939



* * *

დაღამება სევდას მიქსოვს,
გული რითი გაუართო,
დაფუტები და დავწერ ბარათს,
ისევ უმისამართოდ.
ჩემი ლექსი თვით მოგძებნის,
ვერსად დაეშალები,
მისამართად ეგულება
შენი გიშრის თვალები.
მას რად უნდა ქუჩის სწავლა,
შენი სახლის ჩვენება,
ვით მერცხალი თავის ბუდეს,
მოვა, მოგეფერება.
გაჩხნი ბარათს, წაიკითხავ,
წარსულს დაუბრუნდება,
მაგრამ ისევ გონს მოგიყვანს
სინამდვილის ხუნდები.
რა მწარეა მოგონება
დღეთა გარდასულისა,
რა ძნელია დაოკება
ვნებააშლილ სულისა...

და როცა ქალს ვნება ახრჩობს,
 გული რითი გაართოს,
 უნინანად დახვეს ბართს,
 მაგრამ... უმისამართოს.
 დაეძებ და ვერ იპოვე,
 გაგიცრუვდა მიზანი,
 მე კი გულის გასართობად
 კიდევ გამოგიგზავნი.

1939

* * *

ო, რომ შემეძლოს თბილისის ღამეს
 შემოგახვევდი სახეზე ჩადრად,
 რომ შენი სახის ნაზი მშვენება,
 ჩემს მეტს არავის არ დაენახა.
 ო, რომ შემეძლოს თბილისის ღამეს
 დავჭრიდი შენი თვალთა სხივებით,
 შეგიკერავდი ბნელ წამოსასხამს,
 მოქარგულს ჩემი ცრემლის მძივებით.

1939

* * *

შ. გ-ს.

მე ვაღმერთებდი შენს მარტოობას,
 შენ დარდს შენსავე გულში მალავდი.
 მე ნაადრევად დამფერულა გრძნობამ,
 შენ ნაადრევად გაჭაღარავდი.

1941

* * *

დავნებდი კაეშანს, დავნებდი უომოდ,
 შენგან ნაწვალეები ფიქრს გაყვევ ონავარს.
 ვიგრძენი, პატარა და სულ მთლად უღონო
 ლამაზი ხელების უძლური მონა ვარ.

და რა ვქნა, ასე მწამს, მე ასე მგონია,
 როდესაც შენს თითებს ვკოცნიდი დუმილით,
 უჩუმრად წასმული ბანგი რამ გქონია,
 რომელმაც მომწამლა მე შენი წყურვილით.

სევდა მღრღნის, პატარავ, სევდა მღრღნის უგონოს,
 შენგან ნაწვალეები ფიქრს გაყვევ ონავარს.
 ვიგრძენი, პატარა და სულ მთლად უღონო
 ლამაზი ხელების უძლური მონა ვარ.

1942

* * *

ნატერის თვალივით პატარავ,
 გულმა წამებით გატარა,
 ოცნებამ მოგიტაცა და
 მსოფლიო შემოგატარა.
 სულს მიმღვრევს შენი თვალების
 ქართული ზეცის კამარა,
 მაშ, გულმა რისთვის გატარა,
 პატარავ, ჩემო პატარავ.
 ვის გაუფრინდი, სად გაჩნდი
 ფრთაშეუსსმელი ფერია,
 ცა, შენზე მოკაეშანე
 შენი თვალების ფერია,
 სულს მიმღვრევს შენი თვალების
 ქართული ზეცის კამარა,
 მაშ, გულმა რისთვის გატარა,
 პატარავ, ჩემო პატარავ.
 მთვარის სწივებით ნაზი ხარ,
 ნატერის თვალივით პატარა,
 ოცნებამ მოგიტაცა და
 მსოფლიო შემოგატარა.
 სულს მიმღვრევს შენი თვალების
 ქართული ზეცის კამარა,
 მაშ, გულმა რისთვის გატარა,
 პატარავ, ჩემო პატარავ.

* * *

ვიცი, არ მოგწონთ ჩემი ქცევა, აზრის გამოთქმა,
არა მსურს ვიყო გამოგონილ მორალის მონა.
დედის გინებით უნდა ვსდიო ამ სულელ მოდგმას,
ვინც სიყვარულში წესდებები დააკანონა.
მინდა მოვასწრო, შევიძულო და შევიყვარო,
ხალხში ვიცინო, არ იფიქრონ, ვარ მათხოვარი,
მარტომ შეშლილის აუხსნელი ცრემლი დაუღვარო,
შენდობას არ გთხოვთ, ვერც შემინდობს მე მაცხოვარი!
ასეა, ასე აუხსნელი მრჩება თვით სევდაც,
თქვენში მონური სულის მეტი ვერა ვიპოვე,
ვინც კანონები მოიგონა, იმათი დედაც
და ჩემი თავის მსაჯული კი მე ვარ თვითონვე.
მე ვერ გავყვები მიცვალებულს, ვერ ვეტყვი მოთქმას
და ვერც ორმოცზე გადმომცვივა ცრემლი მალული,
დედის გინებით უნდა ვსდიო ამ სულელ მოდგმას,
სევდა, სიცილი ვინც გახადა კალენდარული.

1943



* * *

ნამდაუყრელო ყვავილო,
ვარდის კოკორო უშლელო!
შენზე მტირალი სიო ვარ,
სულიდან ამოუშლელო.
შენმა ცქერამა ჩემს გულში
ცეცხლი შთანერგა, იალა,
შენმა თვალებმა დამქრა და
წავიდა, გაიციალა...

1943

* * *

დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია
მეფე ერეკლეს პირბასრი სმალი,
ნაირმალივით გულზე მატყვია
შენი პატარა ტერფების კვალი.
არც იერიშით მივსულვარ მტერზე,
არც შურისგების მითქვამს პირობა,
არ მიბრძოლია და მაინც მკერდზე
მაზის მაგ თვალთა მძიმე ჭრილობა.
და როცა ვინმე შენ, უტიფარი,
მოგაპყრობს მზერას აღსაესეს ყინით,
მსურს დაველენო გულის ფიცარი,
ჩემ წინაპართა ბრძოლის ყიყინით.
მაგრამ დღეს წელზე აღარ მარტყია
მეფე ერეკლეს პირბასრი სმალი,
ნაირმალივით გულზე მატყვია
შენი პატარა ტერფების კვალი.

1944



მუნასიბი ბორჯომის ღვინის სარდაფში

მომწყინდა უკვე, მეც აღარ მართობს
ცხოვრება ძუნწი, გაუმეტავი,
ახალგაზრდობა და გულის სატრფო
რომელ სარდაფში დამრჩა ნეტავი?!

ჩავალ, ჩამყვება ერთი თვალების
ტრფობა, ალერსი და ერთგულება,
ამოვალ ზევით განაწვალები
და გულის ტოლიც სხვა მეგულება.

მთვრალი ვარ, მთვრალი, ცა – ედემია,
ვკოცნი ვაზის რქას და ვაზის ფესვებს,
ყველა სირაჯი მამაჩემია
და ყველა კახპას ვუკითხავ ლექსებს.

რასაც ვყვიროდი ბავშვი გულადი,
ნაქადარევი ვყვირი იმავეს,
და აღარ მახსოვს, სატრფოს სურათი
რომელ სარდაფში დავაგირავე.

თითქოს მეც მოვცედი, თითქოს მეც მცივა,
პოეტს გამიქრა განცდა დიადი.
მაგრამ არ ვნანობ, თუ ცრემლი მცვივა,
ალბათ სარდაფში დავენესტიანდი.

მწარედ მოვწამლე შხამიან ბანგით
გული ჯიუტი და გამბედავი,
ლექსმაც მიმტყუნა, ეჰ, ჩემი ჩანგი,
რომელ კასრის ქვეშ დამრჩა ნეტავი?!

მთვრალი ვარ, მთვრალი, ცა – ედემია,
ვკოცნი ვაზის რქას და ვაზის ფესვებს,
ყველა სირაჯი მამაჩემია
და ყველა კახპას ვუკითხავ ლექსებს.

1944



წერილი დედას

დავიღალე, დედი, ძლიერ,
 გადამისვი თავზე ხელი,
 მინდა ბავშვად ვირძნო თავი,
 მინდა ვიყო უდარდელი.
 ჭაღარა მაქვს უკვე თმაში
 და ვიხსენებ უკვე მყოფადს,
 აი, ვზივარ შენს კალთაში,
 საახალწლოს ველი ნობათს.
 გვიანია, მეძინება,
 მე კი ვფხიზლობ, ვფხიზლობ ძალით
 და ნაძვის ხე იღიმება
 მრავალფერი სანთლის აღით.
 დავიღალე, დედი, ჩქარა
 გადამისვი თავზე ხელი,
 მინდა ისევ ბავშვი ვიყო,
 მინდა ვიყო უდარდელი.
 დღეს ჩამოვრჩი ყველას, ყველას,
 სადღაც სუნთქვით დავაყოვნე,
 ვისა ვთხოვო, აბა, შველა
 ამ ჯიუტი გულის მქონემ.
 დავიღალე, დედა, გესმის...
 გადამისვი თავზე ხელი,
 მინდა ისევ ბავშვი ვიყო,
 ჯიუტი და უდარდელი.

ყაყაჩოს თვეში

ყაყაჩოს თვეში, მაისის თვეში
შენც მოუწყვეტავ ყაყაჩოს გვეხარ,
ჩემი ლექსების სიმწუნხარეში
ახალი დილა, ახალი მზე ხარ.

ყაყაჩოს ფერი სამოსი გმოსავს,
ვარდი დააჭკნე შენი მშვენებით,
შენზე ოცნებით დაღალულ მგოსანს,
სთქვი, ერთხელ მაინც მომეფერები?!

ყაყაჩოს თვეში, შენს ლამაზ თვეში,
ყაყაჩოს ფერი სამოსი გმოსავს,
ნუ მოკლავ მარტო სიმწუნხარეში
შენზე ოცნებით დაღალულ მგოსანს.

1944



* * *

თოვს...

თოვლია,

თუ თოლიამ

ჩამიქროლა გამალებით?!

ცა ირხევა, ცა მოლია

ღილისტოლა ზამბასებით.

თოვს... თოვლია

ბარში, მთაზე

ფიფქი ფიფქთან მოდის ერთად.

თოვდა მუდამ, მაგრამ ასე,

დღეს რომ ათოვს, ასე თეთრად

არასოდეს უთოვია,

ვგლოვობ მუდამ, მუდამ, მაგრამ

ასე მაგრა

ჯერ არავენ მიგლოვია...

ვისა ვგლოვობ მე ამოდ?!

დავიღალე ამ ძიებით,

მსურს ჩავიკრა სათითაოდ

მკერდში თოვლის თოლიები.

ჰე, მეძავო სულო ჩემო,

გინდა თოვლის სიწმინდე და

სიქალწულეც დაიჩემო?!

ზნე მაქვს ავი,

ეს ველური სიჯიუტე,

სადაც წავალ სულ თან მანლავს,

მაგრამ გწამდეთ, ჩემი თავი
მე პოეტად სტამბაში არ მომინათლავს...
ასეთი ვარ, ასე გაუჩნდი,
მზეს არ ვესერი ბედის ბადეს,
ჩანს, ბრწყინვალე ბაგრატოვანთ
ერთი ლოთი დაეებადე,
მაგრამ ჩემს გულს ასე დიდხანს არაეინ არ უგლოვია,
ასე თეთრად ქართულ ზეცას არასოდეს უთოვია...
...თოვს... თოვლია,
თუ თოლიამ ქარიშხალი მომახარა?!
მართლა თოვს თუ ვინმემ შენი
სურნელება მომაყარა?!
უკვდავების ვეძებ წყაროს,
რომ განვაგრძო ჩემი ბრძოლა,
ვეჭიდები მთელ სამყაროს,
გული კი მაქვს ფიფქის ტოლა.
...თოვს,
თოვლია?!
თუ თოლიამ ჩამიქროლა გამალებით?!
ცა ირხევა, ცა მოლია
შენი ფერის ზამბახებით.
ნეტავ ასე თუ დაათოვს
მივიწყებულ იმ ჩემს საფლავს,
მეც სხვებივით ჩემი თავი სტამბაში არ მომინათლავს...
ამ თოვლივით წმინდა იყო, ვიცო, ერთ დროს

ჩემი გული,
 დღეს ზიზღით და სიძულვილით
 შავად რომ მაქვს შერუჯული.
 და მაშინაც ასე თეთრად,
 ასე თეთრად არა თოვდა,
 ასე ძლიერ რომ გაფითრდა,
 ალბათ სატრფო გაუთხოვდა.
 თოვს...

თოვლია?!

თუ თოლიამ ჩამიქროლა გამაღებით?!...
 ცა ირხევა, ცა მოლია
 დილისტოლა ზამბახებით...
 თოვს...

თოვლია,

თუ თოლიას
 შენი ფერი უთხოვია,
 ასე თეთრად, ასე თეთრად
 არასოდეს უთოვია.

1945



მზიას

შენ მე არ მიცნობ, პატარა გულმაც
ვერ იგრძნო მამა – შეშლილი მნათე,
ამიტომ ასე შეშინებულმა
დედის თვალებით შემომანათე.

რა ნაცნობია, ღმერთო ეგ მზერა,
აღსდგა წარსულის ფერმკრთალი სახე,
ოდესღაც შენი პატარა დედის,
ასე შემკრთალი თვალები ვნახე.

ვფიცავ და ამ ფიცს თვით ღმერთი ხედავს,
მე ორ სიცოცხლეს მივცემ, რომ მქონდეს,
პატარავ, იმ შენს პატარა დედას,
ეგ უცოდველი მზერა რომ მქონდეს.

რა ნაცნობია, ღმერთო ეგ მზერა,
აღსდგა წარსულის ფერმკრთალი სახე,
ოდესღაც შენი პატარა დედის,
ასე შემკრთალი თვალები ვნახე.



* * *

რა მალე გაქრა დღის სინათლე ამ პირქუშ ცაზე,
 რა მალე ჩაქრა სხივი მზისა უკანასკნელი,
 ატირდა ქარი ჭირისუფლის საზარელ ხმაზე,
 მხოლოდ მიდისარ – მე უკვე გელი...

◆

გულო, ოცნება შენი არ ახდა,
 მაშ, რაღას ეძებ, მაშ რაღას ელი?
 გულო, რამდენი რამე გადაგხდა
 და მაინც გინდა აუსდენელი.

◆

რამდენ ოცნებას მოელო ბოლო,
 რამდენ ოცნებას დაემტვრა ფრთები,
 მხოლოდ მიდისარ – მე უკვე გელი.

1946



* * *

მე, ოცნებაო, დასადუჰად ვარ განწირული
და ჩემი სული...
ეს ცოდვით სავსე მგოსნის სული
რღვევას განიცდის,
დაღუპვა მიცდის
უსაზარლესი,
და ახლა მინდა, სწორედ ახლა შენი ალერსი.
მე, სიცოცხლეო, საწამებლად დაებადებულვარ,
სიკედილსაც ვძულვარ,
ეს თავხედი მეხოტბე მისი, ჩემი მერმისი,
სიბნელეა განუჭვრეტელი წამებით სავსე,
მომეცი შენი პატარა ხელი,
მე ის არასდროს მინდოდა ასე...

1946

* * *

ოცნებაო, ვიცი, ბევრი გაგახარებს ნობათით,
გისურვებენ, რომ გქონოდეს ბედნიერი მყობადი,
მე კი, აბა, რა გაჩუქო, გული მაქვს და შენია,
შენზე ფიქრის, სევდის მეტი, აბა, რა დამრჩენია.
და თუ ვინმემ შენი ბედის მოსურვემ და მლოცავმა,
თუ იკითხოს, რა გაჩუქა შენ თავნება მგოსანმა,
უპასუხე: – მან მაჩუქა თქვენთვის მეტად იაფი,
რას არ დაჰკრავს ოქროს ფერი და ალმასის კიაფი.
მან მაჩუქა ის, რაც მხოლოდ ფიქრით დაიკოცნება,
იჭვით სავსე სიყვარული და პოეტის ოცნება.

1945 წლის 7 იანვარი



მოვა მაისი

მოვა მაისი... მოვა შენი ატმის ლოყებით,
მოიტანს შენფერ ყვავილებს და შენს სურნელებას,
მოვა მაისი ბულბულების მწარე გოდებით,
მე კი არ ვიცი, რა მეშველება...

ვინ შეაპარებს ჩამკედარ სულში თუნდ მცირე ნუგეშს,
წამების მეტი არაფერი მემასსოვრება,
შენ, ყველაზე ნაზს, როცა მაინც გეძახი უხეშს,
ამ ქვეყანაზე არ მეცსოვრება...

1947 წლის აპრილი



* * *

გაფყვები იჭვისაგან დაკოდილ ოცნებას,
 კვლავ შენთან მოვყავარ, მაშ რას ვეურჩები,
 გულს ვეტყვი, სულელო, რაღა გეოცნება,
 ხედავ, რა ცივი აქვს პატარა ტუჩები.
 როგორ გამოცვლილა ფერი შენს სახეზე,
 რაღაც გაყინული თვალებით დამხვდები,
 არა, უშენობა მე უფრო მაქეზებს,
 ვიდრე ეგ შეცვლილი ნაცნობი ნაკეთები.
 ის უფრო მიტაცებს, როგორსაც ვეტრფოდი,
 პატარავ, მორცხვობა შენ უფრო გშვენოდა,
 ო, რამდენ უნაზესს მუნამბაზს გეტყოდი,
 ოღონდ ის ბავშვური მზერა შეგრჩენოდა.
 ახლა კი... ახლა კი შეცვლილი დამხვდები,
 გიტირებს, გიგლოვებს დაჭრილი ოცნება,
 ისევ ნაცნობია ძვირფასი ნაკეთები,
 მაგრამ იმ სინაზით აღარ მეკოცნება.

1947 წლის მაისი



* * *

ნუ იფიცებ,
 ნუ ამაყობ,
 მე შენს თვალებს დაღლას ვატყობ.
 და შენს ბაგეს,
 გაუშლელი ვერდისფერი კვლავ რომ ადევს,
 ღიმილს ვამჩნევ ნაძალადევს.
 ნათლად ვხედავ,
 შენს თვალებში უტყვი სევდა ახავერდდა,
 ნულარ მაღავ,
 აღარა გაქვს მოლოდინის ძველი ძალა,
 და ჩამქრალა
 საბოლოოდ ის იმედი,
 დღეს რომ ენთო კიდევ მკრთალად.
 ნუ იცინი,
 ნუ იკავებ მომდგარ ცრემლებს,
 ნულარ ცდილობ ჩემს დანდობას,
 ნუ უარყოფ განშორების წინათგრძნობას.
 ნუ იფიცებ, გამძლეობით ნუ ამაყობ,
 მე შენს ბაგეს,
 ჯერ კიდევ რომ ჩემი კოცნის ფერი ადევს,
 ღიმილს ვამჩნევ ნაძალადევს.

* * *

ჩამოასხი, მერიქიფევე, აბა, მალე,
 პირნაკლული ყველაფერი მეზარება,
 სულ პირამდე ჩამოასხი, ერთსაც დაეღვევ
 და ვინც მიყვარს, უფრო მეტად მეყვარება.
 ჩამოასხი, მადლიანი ყურძნის წვენი,
 კიდევ ვიგრძნო ჩემი სისხლის მდულარება,
 ჩამოასხი, აბა, რად ღირს ყოფა ჩვენი,
 თუ ღვინოში ვერ ჩაგკალით მწუხარება.
 იმ დალოცვილ ომარსა და ჯაღალედდინს,
 თუ კი ასე ჰყვარებიანთ ეს ზედაზე,
 ჩვენ ვინა ვართ, მეგობარო, იმათ გვერდით,
 რად გგვიცხავენ ლოთობისთვის დღეს მე და შენ?!

ჩამოასხი, ყურძნის წვენმა მეც მაამოს,
 ჩამოასხი!.. ჩემზე იყოს მაგის ვალი,
 თუ სიკვდილი მიწერია ამ საღამოს,
 მირჩევნია, მირჩევნია მოგვედე მთერალი...
 ...ჩამოასხი, მერიქიფევე, აბა, მალე!

პირნაკლული ყველაფერი მეზარება,
 სულ პირამდე ჩამოასხი, ერთსაც დაეღვევ
 და ვინც მიყვარს, უფრო მეტად მეყვარება.

საკუთარ თავთან

რამ გაგაჩუმა,
 ლექსი როგორ შემოგელია,
 მერე რა ვუყოთ, რომ შენს სიტყვას
 აღარ ელიან
 ისე, ვით უწინ ელოდნენ ხოლმე.
 ამან გაგტეხა, არა, პოეტი?!
 მაშ, რას აკეთებ, ან ამ ქვეყნად
 რისთვის მოხვედი?!
 ვის ელი, ვისა?!
 ხედავ, საკუთარ ყინმა გაგსრისა,
 გულში სევდა გაქვს, ცრემლი და ბრაზი,
 და ხალხს აცინებ, როგორც ჯამბაზი,
 სთქვი, პოეტი ხარ თუ იშვილბაზი?!
 ...რამ გაგაჩუმა, ლექსი როგორ შემოგელია,
 ხალხი თუ არა, ეს მთები ხომ მაინც გელიან...
 თუ ტაშს ეძებდი, თუ ქებაში ჰყიდდი შენს ლექსებს,
 რაღა გაკენესებს?!
 მოგიხდება ჯამბაზის კაბა,
 დაირით ხელში შემოიფლი ქალაქს და დაბას,
 და უფრო მეტად დაფასდება ეგ შენი ჯაფაც.
 რამ გაგაჩუმა, ლექსი როგორ შემოგელია,
 ცოცხალს ლეშო, მართლა მოკვდე,
 არ გირჩევნია?!
 თუ მთელი განცდით,
 ძველი ცეცხლით
 ვერ გიმღერია.

* * *

წმინდაო, წმინდაო,
 წმინდაო მარიამ!
 მე ლოცვად მოვედი,
 მე ლოცვა მწაღია;
 ვიცი, უჩემოდაც აქ ბევრნი დადიან,
 მაგრამ შენ ვერ ნახავ ჩემსავით დარდიანს.
 წმინდაო, წმინდაო,
 წმინდაო მარიამ!
 რა გაცეცხული თვალებით მიცქერი?!
 ვიცი, არ მელოდი...
 მე მხოლოდ ღვინოს და ვნებას ვუმღეროდი.
 ვიცი, არ მელოდი...
 და მაინც მოვედი,
 ნაძარცვი, შიშველი,
 ჩემთვის არაფერს გთხოვ,
 მე რაღას მიშველი,
 როსკიპი ქალივით ათასჯერ გაყიდულს
 სულიდან სორცამდე...
 ბევრჯერ მიტირია,
 ბევრჯერ მინანია,
 მაგრამ ჩემ ცოდვათა მონანიებაზე
 ფიქრიც გვიანია...
 მეტად გვიანია...
 და მაინც რატომღაც დღეს ლოცვა მწაღია —

წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ...
მე განწირული ვარ,
ლოცვა ვერ მიშველის,
მე დაღუპული ვარ – შენდობა არ მინდა...
ვიცი, ჩემს შეცდომებს კვლავ გავიმეორებ,
ისევ რომ დავიწყო ცხოვრება თავიდან...
და მაინც, რატომღაც დღეს ლოცვა მწაღია –
წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ!
მე შენთან მოვედი
ნაძარცვი, შიშველი...
ჩემთვის არაფერს გთხოვ, ველარას მიშველი.
მე იმას გავედრებ – ჩემს სახელს კი არა,
ვინც ჩემთა ტკივილთა სევდას ეზიარა,
ჰფარავდე მას ჩემზე ნაღველით დარდიანს
წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ!..

1960 წლის 6 ოქტომბერი



* * *

რად მეშინია საკუთარ თოფის,
 რომელიც მქონდა იმედად ჩემდა.
 შენზე ფიქრები ისედაც მყოფნის,
 ამ თოფს რაღა აქვს საერთო შენთან?
 რად მეშინია საკუთარ თოფის,
 ბრმად აშვერილი ცივი ლულების,
 რად მასხამს დამფრთხალ ჭაბუკის ოფლი
 ან ჩუმად რაზე მეჩურჩულები?
 გულს ცივი კენესა რატომ ამომხდა,
 ლექსად ხომ შენი ღიმილიც მყოფნის?!
 მაშ, დღეს რა არის? მაშ, დღეს რა მოხდა,
 რად მეშინია საკუთარ თოფის?
 თოფის, რომელიც მუდამ მართობდა,
 თან დამყვებოდა ტყეში, ბარდებში,
 თოფის, რომელიც უფრო მათრობდა,
 რაც უფრო მეტად დავიდარდებდი.
 რად მიცქერიან ასე ჯიუტად
 ეს გაყინული რკინის ლულები,
 იჭვს ჩამაწვეთებს ფიქრი – იუდა,
 მეც აყვები და ვეჩურჩულები.

ხან სად წაგიყვან, ხან სად გიგულეზ,
მომელანდები სხვასთან გართული,
თოფი კი ისევ ცივად მიყურებს,
მიყურებს თვალეზამოშანთული.
ჩავეხუტები გულცივ იარაღს,
იქნებ მიშველოს, იქნებ გავერთო,
ვიცი, გვიანდა, მეტად გვიანდა,
იგრძნობ, რა მქონდა თოფთან საერთო.

1961



* * *

ბევრჯერ ვყოფილვარ არაგვის პირას,
 აქ ბევრი ღამე მითენებია

და ყვავილებში განაბულ ნიავს,
 ჩემთვის რამდენი რამ უმღერია...

მეც განაბული ვუსმენდი, როგორც
 საყვარელ ქალის ჩურჩულს ვნებთანს.
 ბევრჯერ ვყოფილვარ არაგვის პირას,
 რამდენი ღამე მითენებია;

მაგრამ ის ღამე,

დედოფალი ყველა ღამეთა,
 რა უმოწყალოდ მალე გათენდა.

დრო აღნებოდა საზარლად მალე
 შენს გასაოცრად სევდიან თვალებს

და მოდიოდა უშენო სვალე –

სიცარიელე და სიცივე მომავალ დღეთა

და მოგონებათ ღამის ნაფლეთი –

არაგვზე, შენთან.

გამხმარ ტოტებზე ჯამბაზივით ცქკვავდა ალი
 და სველ ტუჩებზე გიცინოდნენ ღვინის წვეთები;

მე შენი ცქერით სიგიჟემდე ვიყავი მთვრალი,
 მაგრამ იმ ღამეს დათვრებოდნენ თვითონ ღმერთებიც,
 შენთვის რომ ერთხელ მოეკრათ თვალი.

...ტოტებზე კრთოდა შენი ცქერით შემკრთალი ალი,
სასაცილოა ჭაღარა ბავშვი,
მაგრამ ბავშვივით დაბნეული ვიყავი მაშინ;
კიდევ კარგი, რომ გაავდარდა უეცრად მთაში,
შენ ვერ შემატყვევ მღელფარება გაბზარულ სმაში,
სასაცილოა, სასაცილო ჭაღარა ბავშვი.
შენს გასაოცრად სევდიან თვალებს,
დრო ადნებოდა საზარლად მალე
და მოდიოდა უშენო სვალე...
დროო შეჩერდი! ასე იოლად
მე ვერ გაგატან ბედნიერ წამებს!
შეჩერდი-მეთქი! შენც უძღური ხარ
გაიმეორო ასეთი ღამე!..
პირველი წვიმის სურნელება სდიოდა მიწას,
და ბნელი ღამე სეობაში უძრავად იწვა.
ღამე, ის ღამე,
დედოფალი ყველა ღამეთა,
რომელიც ასე უმოწყალოდ
მალე გათენდა.

* * *

დღესაც არ ვიცი ფერი შენთა უძირო თვალთა,
 მხოლოდ ვიცი, რომ შენი ცქერა სევდასა ჰგავდა –
 ხატების სევდას,

ფრესკების სევდას,

რომლებსაც ძველი ეკლესიის კედლებზე ვხედავ...

დღესაც არ ვიცი ფერი შენთა უძირო თვალთა,
 მხოლოდ ვიცი, რომ მსგავსი თვალები.

არ უნდა ჰქონდეს სხვას არავის

ხატების გარდა.

დღესაც არ ვიცი ფერი შენთა უძირო თვალთა,

ასე მგონია, თუ ინებეს შენმა თვალებმა

ვით წმინდა ხანთელს, ცაში ვარსკვლავს

აგინთებს ახალს.

მე შემოგწირავ ყოველივეს დაუნანებლად,

მაგრამ დაჩოქილს შენს წინაშე ვერასდროს მნახავ.

დღესაც არ ვიცი ფერი შენთა უძირო თვალთა,

მხოლოდ ვიცი, რომ მსგავსი თვალები

არ უნდა ჰქონდეს სხვას არავის

ხატების გარდა.

* * *

ნუ აკვირდები ასე ჩემს სახეს,
 არას გეტყვიან ჩემი თვალები,
 მე საგიჟეთის პალატაც ვნახე
 და ჩარაზული ციხის კარებიც...

...ვისწავლე გულში ჩამარხვა სევდის,
 ნაძალადევი სიცილიც ვიცო,
 მე აღარა მწამს თვით ღვიძლი დედის
 და არა მჯერა არც ერთი ფიცის...

შენ ვერ გაიგებ, მე რა მწადია,
 შენ ვერ მიხვდები, მე რა მიტაცებს,
 ან ვის ვუმღერი ლექსებს დარდიანს,
 მე ამ მშფოთვარე დედამიწაზე...

...ნუ შემომფიცებ მე ერთგულებას,
 არ დავიჯერებ, რაც უნდა ითქვას,
 მე ქვეყანაზე არ მეგულება
 გაუტეხავი არც ერთი სიტყვა...

შენ ვერ გაიგებ, მე რა მწადია,
 შენ ვერ მიხვდები, მე რა მიტაცებს,
 ან ვის ვუმღერი ლექსებს დარდიანს
 მე ამ სისხლიან დედამიწაზე.

* * *

შენ ალბათ ახლა მომღიმარმა სცენა დატოვე,
გამოგყვა ტაში...

მე კი უმიზნოდ დავდივარ ქარში
და თან დამყვება სიმარტოვე

ცივი, მდუმარე...

დღეს წეროებმა თბილისს თავზე გადაუარეს
და სიშორეთმა გადაყლაპა მათი ჩრდილები.

ქარმა დაღეწა შუშის ვიტრინა

და გაიტყვინა,

 შუქით შემკრთალი –

 ღამე ფერმკრთალი –

 ჰგავს მიცვალებულს;

დავდივარ მარტო უმისამართოდ...

ო, რა შორსა ხარ –

რაღას მიზამს ბედი უარესს.

დღეს წეროებმა თბილისს თავზე გადაუარეს...

ნეტა სად შეგხვდი?

ნეტა რა დღეს გადაგეკიდე?

დღეს წეროებმა თბილისს თავზე გადაუარეს
და არა მჯერა გაზაფხული თუ მოვა კიდევ.

* * *

ეს აფიშები...

ეს აფიშები...

ეს აფიშები ნაცნობი გვარით,
თითქოს მბოჭკავენ, არ მეშეებიან,
გულს მიშიშვლებენ, სულს მიშიშვლებენ,
ან თავს მოვიკლავ,

ან გავეგიჟდები.

აუტანელი, როგორც ტკივილი –
კვალდაკვალ მომდევს აფიშების უხმო კივილი;
აფიშებიდან გადმოაბიჯა

და წინ დამიდგა მოგონება გარდასულ დღეთა.

ის ამ მყივარი აფიშებით მოვიდა ჩემთან

და ჩემს იდუმალ ტკივილებს ამხელს;

ძალით მახსენებს მივიწყებულ

საყვარელ სახელს;

სად გაექცევი ამ აფიშებს ანდა მათ კივილს?

სად გაექცევი საკუთარი ქრილობის ტკივილს?

სევდას, უძილო ღამეებით ბევრჯერ აწონილს...

საკუთარ აჩრდილს, მლიქვნელივით ფეხქვეშ გაწოლილს...

მოვრბივარ, მაგრამ...

ვეცემი, მაგრამ...

კვლავ ვდგები, მაგრამ...

ისევ გავრბივარ, გავრბივარ, მაგრამ

აუტანელი, როგორ ტკივილი,

უკან მომყვება აფიშების

უხმო კივილი.

* * *

შენა ხარ
ჩემი ოცნების ფრთები
და მე უშენოდ
ფრთამოტეხილ ფრინველსა ვგავარ.
აფეთქებული ნაღმებით მთა ვარ,
ჩამოსანგრევად განწირული
და მაინც ვდგავარ...
თუ ვერ ავიტან...
თუ ჩამოვწვები...
შენც თან ჩაგიტან.

1966 წლის ოქტომბერი



* * *

კიდევ მოვა ღამე...
 კიდევ მოვა დღე...
 კიდევ წავა დღე და...
 ღამე მოვა კიდევ,
 კიდევ და კიდევ,
 კიდევ და კიდევ,
 საოცრად გრძელი დღე და...
 საოცრად გრძელი ღამე...
 საოცრად ცივი მზე და...
 საოცრად დიდი მთვარე.
 კიდევ და კიდევ,
 ასე, სულ ასე;
 გაუგებარი იმედით სავსე,
 გაუგებარი ლოდინით სავსე,
 კიდევ და კიდევ;
 ასე, სულ ასე;
 საოცრად გრძელი დღე და
 საოცრად გრძელი ღამე.
 საოცრად ცივი მზე და
 საზიზღრად მრგვალი მთვარე...
 კიდევ და კიდევ,
 ასე, სულ ასე...

* * *

რაღაცა მოხდა
 იდუმალი, გაუგებარი...
 რაღაცა მოხდა...
 გაიბზარა რაღაც ჩვენს შორის,
 და ყოველ ღამე
 სიზმრად მესმის კივილი ქოტის,
 ასე მგონია,
 ფესაკრეფით ვიღაცა მოდის...
 ვიღაცა მოდის...
 ვიღაცა მოდის...
 ვიღაცა მოდის...
 მესამე მოდის...
 მოდის კანონი, კანონის ძალით,
 მისი სახელით.
 მოდის ცივი და მოდის თავხედი;
 მოდის და მოდის...
 მოდის და მოდის...
 სადა და როდის,
 სად გავიგონე
 მე პირველად კივილი ქოტის?!

ვიღაცა მოდის...
 ვიღაცა მოდის...
 ვიღაცა მოდის...
 უცხო, ზედმეტი...
 რაღაცა ხდება გაუგებარი,
 და ითულება გული მგზნებარე
 კანონის ძალით.
 კანონს მიყვება მორჩილი ქალი;
 მე ვდგავარ მთვრალი,
 როგორც ყოველთვის
 სუნი დგას მძორის...
 რაღაცა მოხდა...
 გაიბზარა რაღაც ჩვენს შორის.

ვიღაცა მიდის...
 ვიღაცა მოდის...
 მე ისევ მესმის კივილი ჭოტის!

* * *

ცა ლურჯი, ლურჯი...
 ზღვა ლურჯი, ლურჯი...
 თითქოს ოცნებამ ვეება ფუნჯით
 ლურჯად შეღება ზღვაცა და ზეცაც.
 ამ სილურჯეში იძირება თითქოს თვით მზეცა,
 მზე ოქროსფერი.
 და ვერ გავიგე,
 ზღვაა ცისფერი თუ ცა – ზღვისფერი...
 მზე გეფერება თუ სუნთქვა ზღვისა.
 ისევ ჩემი ხარ, თუ საოცრად მცხუნვარე მზისა,
 რომ დაგიკოცნა ტანი შიშველი...
 ღმერთი გიშველის –
 ღალატშიც და ერთგულებაშიც,
 ღმერთი გიშველის.
 ცა ლურჯი, ლურჯი...
 ზღვა ლურჯი, ლურჯი...
 თითქოს ოცნებამ ვეება ფუნჯით
 ლურჯად შეღება ზღვაცა და ზეცაც,
 ფიქრიც და შენცა...
 მოუთმენელი სიო გადაგზდის
 სილურჯის საბანს, ციდან მოხეულს
 და როგორც ვნება,

მზე დააცხრება
შენს შიშველ სხეულს...

ცა მუნჯი... მუნჯი,
ზღვა მუნჯი... მუნჯი,
ყველაფერი საოცრად ღურჯი...

1967

* * *

მთვარე დაშთვრალა,
ვარსკვლავებიც –
მთვარის ამაღლა,
ცა მთვარიანი, ციკლოპივით ბრმა და ცალთვალა,
მე მეჩვენება ჩემსავით მთვრალი...
ლიღინით მოდის როსკიპი ქალი,
გულს დამიდაღავს მუშტარის თვალით...
მთვარე დამცინის ჩემსავით მთვრალი...
მთვრალი ვარ... მთვრალი...

1967

* * *

შენ ალბათ ახლა ჭიქა გიჭირავს
 და საახალწლო სუფრაზე მღერი;
 მე ვწევარ სადღაც არაგვის პირას,
 ღამეა ჩემი ფიქრების ფერი...
 ნაბადზე მათოვს...
 და გაყინული თოფის ლულები
 ამ ბნელ ღამეში
 ძმადნაფიცის სითბოთი მათბობს...
 ნაბადზე მათოვს...
 დღეს არაგვია საოცრად მღვრიე.
 შენ არ გეგონოს,
 ისევ შენზე ფიქრი მტანჯავდეს –
 არა, უბრალოდ მენანება ჩემი ოცნება
 ასე უწყალოდ რომ შეგალიე;
 გულდასაწყვეტი აბა თითქოს რა უნდა მქონდეს?
 შენი ალერსი არ დამკლებია
 და როცა მარტო გიგულებდი
 თბილს და ვნებიანს,
 ქვეყნად არავინ არსებობდა ჩვენ ორის გარდა,
 და მოპარული საათები სიგიჟეს ჰგავდა.
 და მე სულელი
 გაშიშვლებულ ქალის სხეულში
 (სიშიშვლის გარდა) სულსაც ვეძებდი,

უფრო წმინდის,
ამაღლებულის მსურდა მონება –
ამას ვერ შესწვდა
შენი გონება.
და ალბათ ახლა ჭიქა გიჭირავს
და საახალწლო სუფრაზე მღერი;
მე ვწვევარ სადღაც არაგვის პირას,
ღამეა შენი თვალების ფერი,
ღამეა ჩემი ფიქრების ფერი,
ნაბადზე მათოვს...
და გაყინული თოფის ლულები,
ამ ბნელ ღამეში,
ძმადნაფიცის სითბოთი მათბობს...
ნაბადზე მათოვს...

1967 წლის 1 იანვარი

არაგვი



* * *

ხელში მიჭირავს ჩემი გულივით დაცლილი თოფი,
 ძლივს ავიარე ხევ-ხევ ბარდები,
 და თვალს ვაყოლებ
 ახლად დაჭრილ ფრინველის ფრენას,
 შენც ამ დაჭრილი ფრინველივით წახვედი ჩემგან.
 და ალბათ სადმე ჩამოვარდები.
 ...დღეს მარტო დავრჩი და უნებურად
 ვიხსენებ შენს ცრემლიან თვალებს
 და ვერ მივმხედარვარ,
 ასე იოლად როგორ გაგცვალე.
 არ დაიდარდო,
 მეცა მცვლიან,
 მეც სხვას ვეცვლები...
 და რომ შემეძლოს დაბრუნება,
 ისე, როგორც ბრუნდებიან უკან მერცხლები –
 ძალა რომ მქონდეს,
 მე მხოლოდ შენთან დავბრუნდებოდი –
 დავბრუნდებოდი, უეჭველად დავბრუნდებოდი.
 მაგრამ რა ვქნა, რომ გული არ მომდევს,
 ამ სიჯიუტემ მოსვენება აღარ მაღირსა.
 უკანასკნელი მოპიკანი ჩემი გვარისა
 უკანდახევას ვერ გადავიტან,
 ველარ დავიწყებ წარსულს თავიდან...
 ხელში მიჭირავს ჩემი გულივით დაცლილი თოფი...
 ირგვლივ – ბარდები...

მე თვალს ვაყოლებ
ახლად დაჭრილ ფრინველის ფრენას,
რატომღაც მჯერა,
ამ ფრინველივით
მეც მალე სადმე ჩამოვფარდები.

1967 წლის 13 იანუარი

* * *

რა უფერულად დაგვაბერეს, შენ, ჩემო ლექსო,
ამ დაღეწილი სულის ნაწილო,
როგორ გაგწირო,
მე როგორ მოვსპო უღიმღამო სიცოცხლე შენი –
შენა ხარ ჩემი დამღუპელიც და გადამრჩენიც...
როგორ გაგწირო, დაღეწილო სულის ნაწილო,
ჩემო ლამაზო სატანჯველო,
ჩემო ნუგეშო;
როგორ ვიცოცხლო ქვეყნად უშენოდ?!
როგორ გაგწირო,
ამ დაღეწილი სულის ნაწილო?

* * *

მიშველე, ღმერთო!
 დამარწმუნე, რომ შენ არსებობ;
 მომეცი რწმენა,
 აღარა ვარ მეტის ამტანი,
 მომეცი რწმენა,
 გინდ ეშმაკის, გინდა სატანის!
 ეგ სულერთია –
 ღმერთი ღმერთია...
 ღმერთი ის არის, ვისაც ვიწამებ
 მე ამ ცოდვიან დედამიწაზე.
 ღმერთო, მიშველე, რამე მაწამე,
 ურწმუნოებით ნულარ მაწამებ.
 ხატი მომეცი შეურყვნელი, შეუბღალავი,
 ღმერთო, არ გესმის ჩემი კივილი?
 არ გვწვდება ცამდე?
 აღარა მყავს ქვეყნად არავინ,
 ვისიცა მწამდეს...
 ღმერთო, მიშველე!

* * *

გაზაფხულდება, უექველად გაზაფხულდება,
რა დააოკებს თავნება აპრილს!
მოვა, მოიტანს ცისფერ ყვავილებს
და შენს ფეხებთან დაყრის და დაყრის.

ვერ გაუძლებენ მოვარდნილ ვნებას
და დასკდებიან ატმის კვირტები,
მეც ისე, როგორც ახლად გაცნობილს,
ახალი თვალით დაგაკვირდები.

შენშიაც ვიგრძნობ აპრილის სუნთქვას,
დახეთქილ კვირტებს და ძუ ავაზას,
გკითხავ: მითხარი, აპრილი გათრობს
თუ სხვა სურვილმა გაგალამაზა?

გაზაფხულდება, უექველად გაზაფხულდება,
მოვლენ თვეები სურვილისა და გაგიყების,
სადაც შეგხვდები, შემოგახევ მოლურჯო კაბას,
თუ შენი ნებით არ გაშიშვლდები.

* * *

ბებერო მუხავ,
 მოწყენით ნუ ხარ,
 ტანი დაღეწილ აღმაგს რომ გიგავს...
 და ნამეხარი შენი ტოტები,
 კიდევ გაუძლებს ელვას და გრიგალს.
 რა ვქნათ, რომ დგახარ განმარტოებით,
 სამყარო გძულს და სამყაროს სძულხარ,
 მოწყენით ნუ ხარ,
 ბებერო მუხავ!
 ამაყად რომ დგას ის კვიპაროსი,
 აბა, რითია დიდების ღირსი?
 შემოუნახავს სიმწვანე რტოთა,
 მაგრამ ავდარში
 კენესოდა,
 თრთოდა,
 ქარმა რამდენჯერ მოხარა წელში...
 შენ ბევრჯერ მოგხვდა ელვის ნაკვესი,
 ქარს შეაღეწე გამძლე ტოტები
 და მაინც დგახარ განმარტოებით,
 სამყარო გძულს და სამყაროს სძულხარ,
 მოწყენით ნუ ხარ,
 ბებერო მუხავ!

* * *

ქრიან ქარები, ნაცრისფერი ქარები ქრიან...

უმთვარო ღამეს –

გვიან, სულ გვიან,

გამხმარ ტოტებზე თვალებს ითხრიან

და მერე ასე უმისამართოდ

ქრიან და ქრიან...

მინდვრის ყვავილებს ფურცლებს აცლიან,

სამარის ლოდებს მიწას აყრიან,

ქრიან ქარები, ნაცრისფერი ქარები ქრიან.

ადრე თუ გვიან,

მეც დავიწყების მტვერს მომაყრიან...

ქრიან ქარები, ნაცრისფერი ქარები ქრიან...

1969



* * *

დამწვარ ლოცვების
 ფერფლი ცვივა ნაცრისფერ ციდან,
 ეყრება მლოცველს
 და სალოცავად აღმართულ წმინდანს.
 დამწვარ ლოცვების
 ფერფლი ცვივა ნაცრისფერ ციდან,
 და სულს უხუთავს
 სალოცავად აღმართულ წმინდანს...
 ცვივა დამწვარი ლოცვების
 ფერფლი ფერფლისფერ ციდან...
 ჰაერი მინდა...
 ერთი სუნთქვა ჰაერი მინდა,
 შენსავით წმინდა.
 მუხლმოდრეკილი
 ბრბო შესცქერის ცას გაოცებით,
 და ცვივა ციდან
 არეული ფერფლში ლოცვები,
 მე არ მეგონა,
 რომ ერთადერთი ნუგეში მიწის,
 ლოცვაც კი იწვის.

* * *

მე განა მარტო შენი ტანის სითბო მათბობდა,

მე მწამდა შენი.

მე მწამდა შენი, ვით მაცხოვარს სწამდა ლოცვების
და გოცვებით ვისხენებდი უშენო წარსულს.

მე მწამდა შენი ისე, როგორც სწამდა თვით ქრისტეს,
გოლგოთას მთაზე რწმენისთვის ასულს.

მე მწამდა შენი ისე, როგორც უსინათლოს
სწამს სასწაულის.

მე მწამდა შენი ისე, როგორც ლოცვად დავარდნილს
სწამს ხატებისა

და ხსნას სულისა მხოლოდ თავის
ლოცვებში ხედავს.

მე მწამდა შენი ისე, როგორც სწამს მაცხოვარის
პატიმრის დედას.

მე მწამდა შენი ისე, როგორც სწამთ მხოლოდ
ღმერთის.

მე მწამდა შენი და ეს რწმენა სიგიჟეს ჰგავდა.

მე მწამდა შენი,

მე მწამდა შენი,

ვაი, რომ მწამდა!

გაბზარული კერავი

ფერწასულ ხატად მეჩვენები,
 გაბზარულ კერპად,
 რომ დარჩა კენტად
 მლოცველის და მრევლის გარეშე...
 ვინ გაგიბედა?
 ვინ გაგიმეტა?
 ვინ მოვა, ნეტავ,
 ჩემს მაგიერ მლოცველად შენდა?
 გაბზარულ კერპად მეჩვენები,
 უთვალავ კოცნით გაცრეცილ ხატად,
 მაგ კოცნის კვალი დღემდე არ ჩანდა,
 ან ვერ გამჩნევდი,
 მე შენი მწამდა.
 რას შეგამჩნევდი,
 სიწმინდის გარდა?
 ჩემს გულს მოვიტან
 სამსხვერპლოზე წარბშეუხრელად,
 და ზედ იარონ, დაე, გათელონ,
 ოღონდ მითხარი,
 გაბზარულო, შენ, ჩემო კერპო,
 როგორ გიშველო, ვით გაგამთელო?

მატარებლები

მატარებლები ყოველ დილით
 და ყოველ ღამე
 სადღაც მიდიან,
 საით მიდიან, ეგ სულერთია –
 გზები დიდია.
 მთავარია, რომ სადღაც მიდიან,
 სადღაც მიდიან...
 იმ მატარებელს მიყავს მგზავრები,
 უკან ბრუნდება,
 ზოგის იმედი ბაქანზე რჩება,
 ზოგის – სრულდება.
 ზოგი მგზავრი კი არასოდეს არ დაბრუნდება,
 არ დაბრუნდება,
 არ დაბრუნდება...
 მატარებლები ყოველ დილით
 და ყოველ ღამე
 ცივი კივილით სადღაც მიდიან,
 საით მიდიან, ეგ სულერთია,
 გზები დიდია,
 მთავარია, რომ სადღაც მიდიან...
 მეც მინდა გავყვე ერთ-ერთ მათგანს,
 წავიდე სადმე,
 საით წავიდე, ეგ სულერთია,
 რაზან შენ დაგთმე...
 მთავარია, რომ წავიდე სადმე...

სიმღერა

რა უცნაური ამინდი დადგა,
 ქარი კი ჩადგა,
 მაგრამ სულში ქარიშხალია;
 რა უცნაური ამინდი დადგა
 და ყოველივე
 შენი ბრალია.
 რა უცნაური ამინდი დადგა —
 ფოთლების ცვენის,
 ფერისცვალების,
 და ამ საოცარ შემოდგომის
 სევდიან ღამეს
 ფერი აქვს შენი
 შავი თვალების.
 რა უცნაური ამინდი დადგა...



* * *

მე ვამჯობინებ ცოდვას გამხელილს
და თუ მაკლია დასჯა,
დაე, დამსაჯოს ღმერთმა;
ამ ეკლესიას მე შევარქვი შენი სახელი,
მე ერთადერთმა.

თუ ეს ცოდვაა, მე ჩავიდენ
კიდევ ერთ ცოდვას
და რჩევას მივცემ მაღალ ღმერთს ცაში:
ღვთისმშობლის ხატებს
მიახატონ შენი თვალები
და თვით სატანაც ღვთისმოსავი
გახდება მაშინ.



ვარდობის თვეა

ვარდობის თვეა...

ყვაფილების ფიფქები ცვივა,
იაც იცინის მზისგან გამთბარი.

ვარდობის თვეა,

სიხარულის ცრემლები მცვივა
და თუმცა თმებში შემპარვია უკვე ზამთარი,
გული სამღერად მაინც მზად არი...

ვარდობის დღეა,

ჩემს თბილისშიც ვარდობის თვეა,
ჩემს გულში მზეა,
მზე ჩამდგარა სულში ცხრათვალა.

გადამაფიწყა ჩემი ჭაღარა

და ლამის არი,

მეც ვიცელებო, როგორც პატარამ.

მე მზეს შევხარი ისე, როგორც ყველა ქართველი
და როცა მოდის ვარდობისთვის დილა ნათელი,
ასე მგონია, ჩემს სიცოცხლეს არა აქვს ბოლო,
რა დამაბერებს

როცა ეს ზეცა, ეს ხმელეთი

ჩემია მხოლოდ.

ვარდობის თვეა...

ყვაფილების ფიფქები ცვივა,
იაც იცინის მზისგან გამთბარი,

ვარდობის თვეა,
სისხარულის ცრემლები მცვივა,
ვინ თქვა, დავბერდი, შემპარვია თმებში ზამთარი...
არა, სამღერად გული მზად არი!

მეგობრის ხსოვნას

ა. კერესელიძეს (ტუხას)

გაძარცულ ხეებს ფოთლები ცვივა,
გარეთაც ცივა, სულშიაც ცივა
და ყველას ერთი ტკივილი გვტკივა...
ფოთლები ცვივა,
ცრემლები ცვივა,
მოულოდნელი, როგორც კივილი,
გულში შეიჭრა ბლაგვი ტკივილი
და სანუგეშოდ კვლავ შენი ლანდი
ჩვენ შორის დადის,
სიცილით დადის.

* * *

ვიცი, მე ვიცი,
რომ ტვირთად გაწევს
მოუსვენრობა გარდასულ დღეთა;
ღვინით, უძილო ღამეებით გულგატეხილი
 მოვედი შენთან
და შიშნაკრაფი პატარა გული
მაინც ქალური სითბოთი შემსვდა.

ვიცი, მე ვიცი,
იმ უძილო ღამეებს გაჰყვა
სიქაბუკე და სიწმინდე სულის
და ვდგევარ შენი ცსოვრების გზაზე
ისე, ვით მგზავრი გვიან მოსული.

ვიცი, მე ვიცი,
 ბევრჯერ ვინანებ,
რომ შენთან მოსვლა დაეიგვიანე;
უაზროდ დაეწვი სიცოცხლის დღენი,
აქვე იყავი – ხადლაც სულ ახლოს
და თავის დროზე
 სიასლოვეც კი ვერ ვიგრძენ შენი.

ვიცი, მე ვიცი,
რომ ჩვენს შორის ცივად ჩამდგარან
წლები დამწვარი ღვინით და ვნებით;
და მე სულმოკლემ, ღამის არის ვწყევლო ყოველი,
ის, რაც მიყვარდა თავდავიწყებით.



*„...და სანუგეშოდ კვლავ შენი ლანდი
ჩვენ შორის დადის, სიცილით დადის“.*

რიხარდ ვესტი

მცირე პლანეტა „მცხეთა“

1980 წელს მზის სისტემაში ჩემს მიერ აღმოჩენილ მცირე პლანეტას მე მივანიჭე სახელი. ვსარგებლობ რა პირველად აღმოჩენის უფლებით, ამ პლანეტას ვუწოდე „მცხეთა“ და მიძღვნის ტექსტს მივეცი შემდეგი ფორმულირება:

მცირე პლანეტა (2116) „მცხეთა“

აღმოჩენილი 1976 წლის 24 ოქტომბერს ლა სილაში (ჩილე) რიხარდ ვესტის მიერ

პლანეტას ეს სახელი ეწოდა საქართველოს სამეფოს ძველი სატახტო ქალაქის სახელის უკედავსაყოფად, ქალაქისა, რომელიც მდებარეობს მტკვრისა და არაგვის შესართავთან. ქალაქი მცხეთა მდიდარია ძველი არქიტექტურული შედეგებით და საქართველოს ისტორიის მრავალ, მნიშვნელოვან მოვლენათა მონაწილეა. პირველად აღმოჩენმა პლანეტას სახელი უწოდა ამ მშვენიერი ქვეყნისა და მისი დიდებული ხალხისადმი თაყვანისცემისა და უდიდესი აღფრთოვანების ნიშნად.

ბევრისთვის ალბათ უცნობია ის ფაქტი, რომ პლანეტისათვის „მცხეთა“ სახელის მინიჭება იყო პატივის მიგება არა მხოლოდ ამ უძველესი ქალაქისადმი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, პატივისცემის გამოხატულება მისი გამოჩენილი შვილის პეტრე გრუზინსკის, დიდებული პიროვნებისა და ჩვენი ოჯახის ახლო მეგობრის მიმართ, ეს გაეაკეთე მისი სახელის უკვდავსაყოფად.

ჩემი ძვირფასი მეუღლე, თამარ ჩოფიკაშვილი, აღიზარდა თბილისში. მას დიდი მეგობრობა აკავშირებდა პეტრე გრუზინსკის ოჯახთან. მოგვიანებით, როდესაც მე და თამარიკო შევუღლდით და სტუმრად ჩამოვდიოდით საქართველოში, ჩვენ ხშირად ვსარგებლობდით პეტრესა და ლიკას ოჯახის სტუმართმოყვარეობით, როგორც თბილისში, ასევე მცხეთაში. სწორედ მცხეთაში, სადაც ჩვენ ერთად ვათვალისწინებდით მცხეთასა და მის შემოგარენში ასე მრავლად არსებულ შესანიშნავ ეკლესია-მონასტრებს, სწორედ ამ უძველეს ქალაქში ჩაეყარა საფუძველი ჩვენს დიდ მეგობრობას.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პეტრე გრუზინსკის პოეზიამ, მისმა მშვენიერმა ლექსებმა, მე განმაცვიფრა მისმა ღრმა ცოდნამ თავისი ქვეყნის მშფოთვარე ისტორიისა და უსაზღვრო სიყვარულმა მშობლიური ხალხისადმი. ეს იყო ჩემთვის ახალი სამყაროს აღმოჩენა.

ნიშნად ამ დიდი მეგობრობისა დამებადა სურვილი უკვდავმეყო პეტრეს სახელი და მისი ქვეყანა ისეთი არაჩვეულებრივი გზით, რომელიც ასტრონომთა პრივილეგიას წარმოადგენს, კერძოდ, ციური სხეულისთვის სახელის მინიჭებით. მე ეს მოვიმოქმედე ნიშნად თაყვანისცემისა დიდი ქალაქისა და დიდი კაცისადმი. მიძღვნის ტექსტი ოფიციალურად რეგისტრირებულ იქნა ასტრონომთა საერთაშორისო კავშირში.

დღეს განსაკუთრებული დღეა. პეტრე გრუზინსკი უბრუნდება მცხეთაში სვეტიცხოვლის ისტორიულ მინას, რათა ჰპოვოს საუკუნო განსასვენებელი მის დიდებულ წინაპართა გვერდით.

დაე, დღეიდან მცხეთა და პეტრე გრუზინსკის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, დედამიწაზე და ზეცაში!



ალექსანდრე ბაგრატიის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი
პოეტის შავა



პეტრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი
პოეტის მამა





პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი



ლია მგელაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკი
პოეტის მეუღლე



დალი პეტრეს ასული ბაგრატიონ-გრუზინსკი
პოეტის უფროსი ქალიშვილი



მზია პეტრეს ასული ბაგრატიონ-გრუზინსკი
პოეტის უმცროსი ქალიშვილი



ნუგზარ პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი
პოეტის ვაჟი



ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი
პოეტის უფროსი შვილიშვილი



ანა ნუგზარის ასული ბაგრატიონ-გრუზინსკი
პოეტის შვილიშვილი



მაია ნუგზარის ასული ბაგრატიონ-გრუზინსკი
პოეტის შვილიშვილი



რეზო ლალიძე და პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი



პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი და გიორგი ცაბაიძე



პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი და მიხეილ თუმანიშვილი



მარცხნიდან: კოტე მაკარიძე, მარეხ გოძიაშვილი და
პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი



პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი და რეზო კვესელავა



პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი და თურ ჰეიერდალი
(ნორვეგიელი სწავლული და მოგზაური)
ქალაქგარეთ



ლეილა აბაშიძე და პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი
 კინოფილმ „შეხვედრა მთაში“-ს გადაღების დროს
 (სცენარის ავტორი პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი,
 რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი)
 ხევსურეთი



მარცხნიდან: პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი, ვახტანგ
დეკანოზიშვილი (პოეტის ბიძა), ლექს ნიმი (პოეტის
ესტონელი მეგობარი)
არაგვისპირი

რეზო კვესელავა

ტახტის მემკვიდრის თავადური უბრალოება

დიდგვაროვანი, მით უმეტეს, ტახტის მემკვიდრე, ასე წარმომედგინა: განდგომილი, ქედმაღალი. მიუნდომელი... პეტრე გრუზინსკის სახით ვიხილე ახლობელი და უბრალო ადამიანი (ოლონდ, ეს იყო თავადური უბრალოება), შინაგანად თავისუფალი და სხვისი განმათავისუფლებელი: საკმარისი იყო მასთან წუთი დაგეყო, რომ მოგმორდებოდა ყოველგვარი შებოჭილობა. ის იყო უშუალო, უცერემონიო და საკმაოდ ფრივორული, არ ერიდებოდა ასე ვთქვათ, მაგარ-მაგარ გამოთქმებს. აღმერთებდა ქალს, ყველა ქალს, თითოეულ მათგანში რაღაც საინტერესოს პოულობდა. ეპყრობოდა მათ არაჩვეულებრივი სიფაქიზით და სითამამით (პეტრე გრუზინსკის შემთხვევაში ეს სიტყვები ერთმანეთს არ უპირისპირდება). მისი ელვარე, ბასრი თვლებიდან ვნება ისეთი ძალით ასხივებდა, რომ ქალი ვერ უძლებდა და თავს დაბლა ხრიდა. მეგობრის ცოლს ან სატრფოს თვალში არ შეხედავდა, უფრთხოდა უნებლიე ზემოქმედებას.

პეტრე გრუზინსკის ეთიკის პრინციპი ცხოვრების ფიალის ბოლომდე დაცლას გულისხმობდა, ოლონდ ერთფეროვნების გარეშე, ერთი დღე მეორეს არ უნდა გვანებოდა. თავის კრედოს გამოხატავდა გალაკტიონის სტროფით, რომელსაც ზეპირად წარმოსთქვამდა:

მე, ვისაც მტანჯველ აზრად გაუარს,
დაკმაყოფილდეს ისევ თბილისით,
ვინც ღამით დანვაეს შოპენგაუერს,
რომ უფრო მძაფრად იცხოვროს დღისით...

შოპენჰაუერს იცნობდა პოპულარული ლიტერატურიდან. ერთი ასეთი ნიგნი (ავტორი: ფოლკელტი) მის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. პეტრემ იმდენჯერ დაიქაძნა, დანვაეს შოპენჰაუერსო, რომ ერთხელ ვუთხარი: – ნუ დანვაეს, მე მომეცი-მეთქი. გაკვირვებით შემომხედა, რას ამბობო. – მაშინ მათხოვე-მეთქი. – ეგ სხვა საქმეაო, – დამთანხმდა უხალისოდ. ნიგნის თხოვება არ უყვარდა.

სიყმანვილეში პეტრე გატაცებული იყო პესიმისტური ფილოსოფიით, მსოფლიო სევდის პოეზიით, ამაოებათა ამაოებით. შემდეგ კი,

როცა პირისპირ შეეჯახა ამაოებათა უხამსობას და მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, სიყმანვილის არტისტულმა ნიღბებმა უკან დაიხიეს და მასში იმძლავრა ბოჰემური ცხოვრების კულტმა, თავდა-ვინყების ჟინმა. ყველა გაორებული ვიყავით მაშინ, მით უმეტეს პეტრე გრუზინსკი, რომელიც 1832 წლის შეთქმულთა მემკვიდრედ თვლიდა თავს. ეს ჩემი ვარაუდია. პეტრეს არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი, თავისი ბიოგრაფიის ინტიმური მხარის გადმოშლა. რაც ვიცოდი მის შესახებ, ვიცოდი განაგონით, ვიცოდი, რომ იჯდა პოლიტიკურზე, ანამეს და, ბოლოს საგიჟეთში ჩასვეს.

პეტრე გრუზინსკის ოჯახში გავიცანი ე. წ. მხიარული დასის მუდ-მივი ნევრები: ლევან ჭუბაბრია, კოლია არეშიძე, განსი ბურჯანაძე, ნოდარ ხუნნარია და ბიჭიკო საჯაია. ესენი შინაური ხალხი იყო; მათ შეეძლოთ, თუ პეტრე შინ არ იქნებოდა, სტუმრის მიღებაც და გამასპინ-ძლებაც, თითოეული მათგანი თავისებურად უნიკუმი გახლდათ, მათი იუმორი და ერთგულება დაუვინყარია. პეტრეს ოჯახის ხშირი სტუმ-რები იყვნენ არჩილ კერესელიძე (კერესა), ბიძინა კვერნაძე, სულხან ცინცაძე, იაკობ ბობოხიძე, რეზო ლალიძე, აკაკი დვალიშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ანზორ სალუქვაძე, ირაკლი გოცირიძე, რეზო ჭივილიძე, რეზო თარხან-მოურავი, შოთა მილორავა და თბილისელ ბანოვანთა მთელი გუნდი.

პოლიტიკურ საუბრებს ვერიდებოდით, ანგარიშს ვუნევდით ეჭვიმითანილი ოჯახის უსაფრთხოებას. მაგრამ ერთხელ, აკაკი დვალი-შვილმა ისე მაგრად შეუკურთხა საკავშირო ცეკას გავლენიან მდივანს, რომ შიშმა ამიტანა, სხვებმა კი გადაიხარხარეს. მაშინ აკაკი დვალი-შვილი კულტურის მინისტრი გახლდათ, მთავრობის წარმომადგე-ნელი.

ყოველი თავშეყრა სუფრით მთავრდებოდა. ამას დიდი ხარჯი ჭირდებოდა. ცხადია, სამეფო გვარის წარმომადგენელი, პეტრე ბაგ-რატიონ-გრუზინსკი, ლარიბი მეგობრებისაგან შემწეობას ვერ მიიღებ-და. ამიტომაც იღებდა შეკვეთებს. წერდა ლექსებს კომპოზიტორები-სათვის, ლიბრეტოებს – თეატრებისათვის, სცენარებს – კინო-სტუდი-ებისათვის. ღამეებს ათევდა, მაგრამ, ზოგჯერ, მაინც ვერ ასწრებდა დაკვეთის დროზე შესრულებას. წერვიულობდა, ვაითუ, ავანსი უკან დამაბრუნებინონო. წერდა, შლიდა, კვლავ წერდა. მარცვლავდა სიტ-ყვას, სტრიქონს, თან ჩიბუხს აბოლებდა, მის ოთახში მუდამ არომა-ტული თამბაქოს სუნი იდგა. მეგობრები თავს ვალდებულად რაც-ხდნენ, საუკეთესო ფირმების თამბაქოთი მოემარაგებინათ იგი. ის კი თავაულებლად მუშაობდა, ასრულებდა უფლის განაჩენს – ოფლით

მოეპოვებინა ლუკმა პური. ოღონდ ამ ლუკმას ყველას უნანილებდა. ამ მხრივ კი, ის ჭეშმარიტი სოციალისტი გახლდათ.

ერთი პერიოდი (70-იანი წლები) პეტრემ და ლიკამ, რომელიც ტემპერამენტით არ ჩამორჩებოდა თავის მეუღლეს, ქალაქარეთ გასვლები დაანესეს. ყოველ პირველ მაისს ჩარგალში უნდა წავსულიყავით და რამდენიმე დღე ბუნების ნიაღში გაგვეტარებინა. ვაჟას სახლის და ნივთების ხილვა ჩვენზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. სულიერად ვმალდებოდით. პეტრემ შემთხვევით როდი აირჩია ეს ადგილი. ტყეში ვიყავით, მაგრამ ადამიანის შიში არ გვექონია, აზრადაც არ მოგვდიოდა, რომ ვინმე აუყია ან ყაჩალი მოგვადგებოდა. ღამე კაცებს ღია ცისქვეშ გვეძინა, მინაზე, – ნაბადში გახვეულებს. ერთ დღეს რეზო ლალიძემ გამოიარა. საღამოვდებოდა, არემარე იღუმალ ხმებს გამოსცემდა. რეზომ თქვა: „ყველაფერს, რასაც ვხედავთ და რასაც ვერ ვხედავთ, თავისი მუსიკა აქვს, ამას მოგროვება ჭირდება, აი, ისე, ფუტკარი რომ აგროვებს ნექტარს“ (გაჩუმდა)... ეჰ, დავიღალე (ხელი ჩაიქნია), ქალაქში ცუდად მძინავს, აქ, ბუნებაში ვპოულობ სიმშვიდეს. ეს ოხერი სიგარეტი მკლავს (მოისროლა), ვერ დამინებებია თავი. ღვინოც არ მაყრის ხეირს, მაგრამ უღვინოდ რაა ცხოვრება...

– ან უქალოდ, – ჩაურთო პეტრემ.

ყველანი მინაზე ვისხედით, ერთადერთი რეზო იჯდა სკამზე, ალექსანდრე დიუმასავით, და მალლიდან დაგვეყურებდა, უარი თქვა ვახშამზე, მაგვიანდებო და დაგვემშვიდობა. პეტრემ გააცილა. ერთხანს იდგნენ მანქანასთან და საუბრობდნენ: სურათი დარჩა მეხსიერებაში, თვითონ არ არიან...

ზოგჯერ სიცივე გამოგვაღვიძებდა, მაგრამ ვითმენდით, შევცქეროდით ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ოცნებას ვეძლეოდით. დილით კი, ალიონზე, ვუსმენდით ბუნების გამოღვიძებას. მთელი არემარე ხმინებდა, თითქოს კოსმიური ორკესტრი უკრავსო. ნარამარა გავიძახოდი – „რა გენიალურია“, პეტრე წამსვე ადასტურებდა „ზუსტი ხარ“. ლიკა კენწლავდა ჩვენს ექსტაზს: – თქვენთვის ყველაფერი გენიალურია, რიყის ქვაც კიო. არა და, ყველაფერი მართლა გენიალური იყო. ღამის იღუმალებაში ფანტასტიკურად ჟღერდა პოეზია, ზოგი საკუთარი, ზოგი სხვა პოეტისა. ანზორ სალუქვაძის ლექსებს თავისებური მანერით (ანზორის ნაბაძვით) გვიკითხავდა ნუგზარ ბაგრატიონი, პეტრეს ვაჟიშვილი. არ მახსოვს პეტრეს საკუთარი ლექსი წაეკითხოს, ან, საზოგადოდ ეხსენებინოს მისი არსებობა. მეც მივეჩვიე იმ აზრს, საესტრადო დაკვეთების გარდა, ის ლექსს არ წერს. და როგორ გამიკვირდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს, არალეგალურ

ჟურნალ „ოქროს სანმისში“, პეტრე გრუზინსკის სულ სხვა ინტონაციის ლექსს წავეანყდი. იწყებოდა ასე:

„შიშში აღზრდილი,
უნდობლობაში დაკაცებული,
ციხის მუქარით განამებული,
მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა,
ვისაც ლალატად უთვლიდნენ სინდისს
და უმეცრებად გამბედაობას...“

აი, რა გავიფიქრე, „მოთმინების ფიალა ავსებია გრუზინსკის. ეს ლექსი მოწოდებაა. ეს რისკია“. არის ასეთი სტრიქონიც: „დღეს თამაშია ვნებათაღელვის, მხოლოდ თამაში“. კარგად გამოხატავს ადამიანის ბუნებას: არა ჭეშმარიტი, არამედ მოჩვენებითი, იმიტაციური ვნებათაღელვა! ამ თემას ეხება მერაბ მამარდაშვილი თავის IX ლექცი-აში: „ჩვენ მეტისმეტად დიდი ხნით ვიგემეთ სიკვდილი... ცხადია, ფიზიკურ სიკვდილს არ ვგულისხმობ, არამედ სიცოცხლის ყოველგვარ მოჩვენებას, ყოველგვარ იმიტაციას, ყოველგვარ საკუთარ მკვდარ ნაწილს“. ორივე ავტორი მოჩვენებით ვნებათაღელვას და ფანტაზიას კონკრეტულ რეჟიმს მიაწერს, მაგრამ ეს მოჩვენებითობა ღრმად რომ არის ჩამარხული ჩვენს ბუნებაში, შემდგომმა მოვლენებმაც დაამტკიცეს.

„ოქროს სანმისი“ პეტრეს ვაჩვენე. ერთხანს ათვალეირა ჟურნალი, თავის ლექსსაც გადაავლო თვალი, და, თითქოს თავისებურად ჩაილაპარაკა: „მაშ, გამოაქვეყნეს?!“ „მაგარი ლექსია“ – ვუთხარი. გაელიმა. მერე მითხრა: „შენ მაინც ნუ იტყვი სხვაგან“. ის გულისხმობდა: – ხომ შეიძლებოდა, ეს ლექსი ჩემი ინიციატივის გარეშე მოხვედრილიყო ჟურნალშიო.

ბოლოს და ბოლოს, გავეცანი პეტრე გრუზინსკის პოეზიას, ოღონდ, პოეტის გარდაცვალების შემდეგ. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ გარემოებას, ლექსებში ჩანს მონანიების განცდა, წერს: „ბევრჯერ მიტირია, ბევრჯერ მინანია, მაგრამ ჩემ ცოდვათა მონანიებაზე ფიქრიც გვიანია“. განიცდის ჩაუდენელ დანაშაულს, აი, სად გამოჩნდა არისტოკრატი: ღვთის თავისუფალი შვილები თავს ნაწყენად კი არა, დამნაშავედ გრძნობენო, – წერს ბერდიაევი („უთანასწორობის ფილოსოფია“).

პეტრე გრუზინსკი თავყანს სცემდა პოეზიას. ამიტომ კატეგორიულად უარყოფდა პოეზიის ერთ პასტერნაკისეულ განმარტებას:

„Ты – Лето с местом в третьем классе,
Ты пригород, а не припев“.

საერთოდ, მთელი ეს ლექსი ზეპირად იცოდა, სხვადასხვა ასპექტში გაიხსენებდა და გულისწყრომით იტყოდა: „აბა, როგორ შეიძლება პოეზიის შედარება მესამე კლასის ვაგონთან. რა სიბინძურე და მხუთვარებაა შიგნით“. პეტრესათვის პოეზია უმაღლესი შედარების საგანი იყო. მახსოვს, მის ბინაში მშვენიერი ლეილა ყიფიანი რომ გამოჩნდა, პეტრემ ალტაცებით თქვა: „აი პოეზია!“.

ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ გამოქვეყნდა პასტერნაკის მიწერ-მოწერა. პოეტი ერთ-ერთ წერილში დიდი სიმპათიით აღწერდა თბილისურ შეხვედრებს, მათ შორის, ახალგაზრდა პეტრე გრუზინსკისაც იგონებდა, დახსომებოდა მისი „მეტყველი თვალები“. პეტრეს წავაკითხე. რასაკვირველია, გაეხარდა დიდი პოეტის კეთილი მოგონება, მაგრამ ამან გული ვერ მოუღობო, წინანდებურად თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, პოეზიის პასტერნაკისეული განმარტების გამო.

ბოლოს, თავის აგარაკზე განმარტოვდა მცხეთაში. დაიყენა კავკასიური ნაგაზი, ხელი მიჰყო მეურნეობას, ჯერ კიდევ მხნედ გრძნობდა თავს, ამბობდა: „Я черная пантера!“

ერთ დღეს მცხეთაში გერმანელი ხელოვნებათმცოდნე ქალი, ანკე რიტერი ჩავიყვანე. ვიცოდი, პეტრე მიზანში ამოიღებდა მას, ამიტომ რიტერი წინასწარ გავაფრთხილე: „ტახტის მემკვიდრის ერთი გამოხედვაც კი ქალებზე მაგიურად მოქმედებს და შეიძლება თქვენც გიმსხვერპლოს-მეთქი“. ანკე დაინტერესდა. ალაყაფის კარზე დავაკაკუნე – გამოვარდა ძალღი ყუფით, საბედნიეროდ, დაბმული აღმოჩნდა. გამოჩნდა პეტრე. მან მყისვე ბასრი მზერა შეავლო სტუმარს, რომელმაც ღიმილით მანიშნა – ხედავო? ეზოში გავედი. პეტრემ სკამები გამოიტანა, თვითონ სადღაც გაქრა, მალე გამოჩნდა, ვილაც ფეხშიშველი კაცი ახლდა, რომელსაც ხელში თოხი ეჭირა. პეტრემ გაგვაცნო: ჩემი მეზობელი გლეხკაცია, ყანიდან გამოვიყვანეო.

გლეხკაცმა თოხი კედელს მიაყუდა და ანკე რიტერს წმინდა გერმანულით მიმართა – როგორ მოგწონთ ჩვენი ძველი სატახტო ქალაქი მცხეთაო. ანკე ალტაცებას ვერ მალავდა, თანაც გაკვირვებულიც იყო! სად ისწავლეთ ასეთი გერმანულიო. გლეხკაცმა კი საუბარში ახსენა გოეთე, შილერი, ჰაინე... ბოლოს გაირკვა, რომ გათამაშდა „ნამწყემსარის მოგონების“ ანალოგია. გლეხკაცი გერმანული ენის კათედრის დოცენტი აღმოჩნდა. მცხეთაში ნაკვეთი ჰქონდა და მის

დასამუშავებლად ჩამოდიოდა კვირაობით (ამ ორიოდე დღის წინ, გავიგე, რომ პატივცემულმა დოცენტმა დატოვა გერმანული ენის კათედრა და მღვდლად ეკურთხა)...

იმ დღეს პეტრემ შესანიშნავი სუფრა გაგვიმართა. და რახან ბევრი სასმელი და სანოვაგე დაგვრჩა, მეორე დღისთვისაც დაგვპატიჟა. მიწვევა სიამოვნებით მივიღეთ. და მეორე დღეს, უკვე მესამე პირის – რეჟისორ რეზო ესაძის თანხლებით ვეახელით. ეს დღეც განსაკუთრებული აღმოჩნდა, ანკე რიტერი მთლად მოიხიბლა. სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ.

გავიდა ხანი. ანკე რიტერი შვეიცარიიდან იწერებოდა: „გთხოვთ გამაგებინოთ, მეფე როგორ გრძნობს თავს თავის რეზიდენციაში“.

მეფე უკვე კარგად ვერ გრძნობდა თავს. ამბობდა: „არა, არა ვარ ჩორნაია პანტერა“... მან მცხეთაში კაჭკაჭი მოიშინაურა, მათე შეარქვა. მალე დამეგობრდნენ. კაჭკაჭის ოინები მას ახალისებდა. მაგრამ რატომღაც შიში გაუჩნდა, მათეს დავკარგავო. ასეც მოხდა. ისე ზუსტად არაფერი აუხდება ადამიანს, როგორც ცუდი წინათგრძნობა. პეტრე უგუნებოდ იყო. უბნის ბიჭებს ეხვეწებოდა, ოღონდ მათე მომადებნინეთ და რასაც მიბრძანებთ, მოგართმევთო. ვერ მოუძებნეს. პეტრემ სამაგიერო კაჭკაჭზე უარი თქვა, მათეს მაგივრობას ვერ გამინევსო.

აი, ასეთი მგრძნობიარე გული შერჩა ადამიანს, რომელმაც ამდენი სიმწარე განიცადა...

ახლა დავცქერი მის პორტრეტს და მივმართავ მისივე სტროფით:

„ეჰ, ჩემო კარგო, ეს უღონო ჩემი ცხოვრებაც
ჩქარა გაქრება, უცნაურად გადაილევა,
და ვერ გავიგებ, ის დღე იყო ასე ლამაზი,
თუ შენ აძლევდი მას უჩვეულ სიმშვენიერეს“.

P. S. 10 იენისს, შალვა დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლში თბილისის საზოგადოებამ მოგონების საღამო გაუმართა პეტრე გრუზინსკის. დაწყებამდე ერთი საათით ადრე, დარბაზში უკვე არც ერთი თავისუფალი სკამი არ იყო. დერეფნებიც გაივსო; ვინ სად იჯდა, ვინ სად. პეტრეს ყოველ გამოჩენას ეკრანზე ტაშით ეგებებოდა მაყურებელი. სიყვარულის ცრემლებიც დაიღვარა...

ასეა: რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

ბიჭიკო საჯაია

პეტრე და მე

მე, ბიჭიკო საჯაია – დედით, მამით და სულით ქართველი, მაგრამ რუსულენოვანი განათლების, ლენინგრადში ნაცხოვრები და დაჭაბუკებული – ბედნიერ კაცად ვთვლი თავს, რომ ცხოვრების 30 წელი ვიმყოფებოდი პეტრე ბეგრატიონ-გრიზინსკის გვერდით. ის იყო და ჩემს გულსა და გონებაში დღესაც არის სულიერი ძმა, მეგობარი და მასწავლებელი.

რუსული ყაიდის ძმაკაცობას შეჩვეული, პეტრესგან, რომელიც ჩემთვის ყოველთვის თეზიკა იყო, მე თითქოს მოვინუსხე, მოვინათლე, მოვექეცი, ვეზიარე ნამდვილ ქართველობას, რომელიც ჭაბუკის სულში ისედაც ღვივოდა და, ალბათ, ნიადაგს ეძებდა. ეს ნიადაგი კი გახლდათ ის კეთილშობილი საძმო, რომელსაც თეზიკა ედგა სათავეში და როგორც ჭეშმარიტი დიდებული, ყველასთვის და, რაც მთავარია თავისთვისაც, შეუმჩნეველად, ქვეცნობიერად მართავდა.

პეტრე – სულით ფაქიზი ადამიანი, ვერ იტანდა თავისუფლების ნებისმიერი სახით შეზღუდვას, შევიწროებას. ალბათ, ამიტომაც იყო მისი ბიოგრაფია ასეთი ამბოხიანი. იგი იბრძოდა არა მხოლოდ თავისი, პიროვნული უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ, არამედ საერთოდ, საზოგადოების მორალური თავისუფლებისათვისაც, მიუხედავად თავისი მონარქიული წარმომობისა. მისი სულიერი კონსტიტუცია ვერ ეტეოდა იმდროინდელი სოციალური მოთხოვნების ჩარჩოებში. უსამართლობას ვერ იტანდა ვერავისაგან – მეგობრები, მეუღლე, დედა, შვილებიც კი, თუ ოდნავ მაინც დაარღვევდნენ სიმართლისა და გულწრფელობის მისეულ ხედვას, თეზიკას რისხვის ობიექტები ხდებოდნენ. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა რანგის ადამიანი. მლიქვნელობისა და პირმოთნეობის მოძულეს, არასოდეს უძებნია და არც შეუყვანია თავის სამეგობროში ე. წ. „დიდი კაცი“. მიუხედავად მისი ვითომ „განდგომილობისა“ (ეს მხოლოდ გარედან ჩანდა ასე), საკვირველად თავმდაბალი იყო და ახლალა ვხვდები, რომ სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი მომწუსხველი ძალა – მის მეგობრობას ერთხელ ნაზიარები ადამიანი მუდმივად მისკენ ილტვოდა.

მაგრამ პეტრეს გულში ადგილის მოპოვებას გამოცდის გარეშე ძნელად თუ შეძლებდა ვინმე. თეზიკასეული გამოცდის ხერხები ანუ ახლანდელი „ტესტები“ ჩვენთვის უცნობი იყო. მხოლოდ მისი გუმანი და შემდეგ ინტელექტი და ლოგიკა თუ იყო „კაცობის“, უფრო ფართო გაგებით „ადამიანობის“ ამონ-დამნონი („კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქილოცე“), ხელდასმა კი მოგვიანებით ხდებოდა. მე ჩემს თავზე განვიცადე გამომცდელის ჩუმი და სილრმისეული დაკვირება. ჩემი ჩეკისტური ნარსული (დამთავრებული მქონდა ქ. ლენინგრადში კონტრდაზვერვის უმაღლესი სასწავლებელი), ბუნებრივია, მის ფარულ ეჭვს გამოიწვევდა. ყოფილი დისიდენტის – თეზიკას გარემოცვაში ყოფილი ჩეკისტის შესვლა დაძაბული და შიშნარევი მუხტის შემცველი აღმოჩნდა, მაგრამ მე არ ვმაღავდი ჩემს ნარსულს და იგი მალე ჩემივე მეშვეობით ჩვენი სამეგობროს კეთილმოსურნე ქილიკის საგანი გახდა. ასე მაგალითად, კონტრდაზვერვის სამსახურიდან ჩემი „ნიხლით გამოგდების“ მიზეზი ვითომ გახდა ის, რომ ლენინგრადში მომუშავე უცხოელი რეზიდენტი ტროლეიბუსის ერთი გაჩერებიდან მეორემდე თვალსა და ხელსშუა დამეკარგა. აი, ასეთი „ნაჩეკისტარი“ სავსებით მისაღები იყო პეტრეს სამეგობროსთვის და „გამეფების“ შემთხვევაში თეზიკამ უშიშროების მინისტრის პორტფელიც კი „შემომთავაზა“. უფრო მოგვიანებით პეტრე გახდა ჩემი დაქორწინების შემოქმედი, ჩვენი მეჯვარე, ჩვენი ქალიშვილის ნათლია და დიდი მოსიყვარულე.

პეტრე, დისიდენტური ყურნალის „ანათემას“ ერთ-ერთი ნამყვანი ავტორი, გადასახლებას მხოლოდ ფსიქიატრიული პათოლოგიის სიმულაციის გზით გადაურჩა, მაგრამ „ჯფუფის ფსიქიკურად გაუნონანსორებული პირის“ დამლა და თეთრი ბარათი მისი „პასპორტი“ იყო. ამ ბარათის პატრონს, სხვა შეზღუდვებთან ერთად, მანქანის მართვის უფლებაც არ ჰქონდა. თეზიკამ ეს უფლება „ლევად“ შეიძინა (ასეთი რამ მაშინაც შეიძლებოდა) და როგორც მძღოლი ძალზედ ფრთხილობდა, მოძრაობის ნებსებს არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევდა. მაგრამ, ერთ ნვიმიან დღეს ბიძინა კვერნაძე, პეტრე და მე მუხრანის ხიდზე მანქანით ნელა მივდიოდით და თან ვმასლაათობდით. ამასობაში მანქანა ოდნავ გაეხახუნა შუა ხიდზე მდგარ მილიციელს, რომელიც ნამდვილი სიმულიანტი აღმოჩნდა და მისი „მკურნალობა“ პეტრეს ბევრად ძვირი დაუჯდა, ვიდრე „ლევად“ ნაყიდი მართვის უფლება. მილიციაში მე დავიჩემე საჭესთან ჯდომა და ჩემი მართვის უფლებაც გავნირე. ამ პატარა ფაქტმა პეტრე ბავშვივით

ალაფრთოვანა, ენაკვიმატმა ბიძინამ კი „გაკვირვებით“ ჰკითხა: „კაცო, გიყებშიც კლასში ზიხარო?“

ერთხელაც, პლატოდან თბილისში მოვდიოდით პეტრე, ბიძინა და მე. როგორც ყოველთვის, უფულობით შეწუხებული პეტრე და ბიძინა საავტორო უფლებების დაცვის (საუდი) სამმართველოში მიისწრაფოდნენ – იქნება ჩვენთვის რაღაც თანხა იყოს ჩარიცხული. თეზიკა საჭესთან უხერხულად იჯდა. ბოლოს შემოგვჩვილა – დუნდულაზე ძირმაგარა გამომივიდაო. ბიძინამ თვალის დახამხამებაში მიაგება: „ტახტზე დასაჯდომად ეგ ერთი საჯდომილა შემოგრჩა და ეგეც აღარ გივარგაო?“ პეტრეს სიცილისაგან ძირმაგარა გაუსკდა და ბიძინას ლოცავდა. საუდში მისულებს კი ფული არ დახვდათ.

თეზიკა ბუნებით მორიდებული კაცი იყო და ცდილობდა, რომ შემოქმედებითი მუხტით გაერთიანებული მისი სამეგობროს მეორე გამაერთიანებელი ძალა – იუმორი ყოველთვის კეთილი ყოფილიყო, ისეთი, რომ თავი არავის ეგრძნო დამცირებულად, არათანასწორად, ულაზათო დაცინვის საგნად. ესეც ხელენიფებოდა. თავად იშვიათად ენაწყლიანობდა, მაგრამ თუ აინყვეტდა, თვით გიგას, ბიძინას, გურამ ბზიავას შეშურდებოდათ ხოლმე მისი კაფიაობის. ერთხელ, ჩემი ქორნილის მეორე დღეს, მეგობრების ვინრო წრეში ნაკესების უშრეტ შემოქმედს, ბიძინა კვერნაძეს მოთმინების ფიალა აევსო და შეუძახა: „დამაცა კაცო, რა ლურჯი ბუზივით მივარდები პირში!“.

მე პეტრემ მუდო შემარქვა, თუ რამდენიმე დღე დავეკარგებოდი მხედველობის არედან, ბიჭებს შეყრიდა: „ნავედით მუდოსთან, ალბათ პირში ობი გამოედოო!“

პეტრე გრუზინსკი, მიუხედავად მეფური წარმოშობისა, ძალიან მოკრძალებული იყო. მისთვის მატერიალური ფასეულობა შემოიფარგლებოდა თავისი სამუშაო ოთახით, კარგი წიგნებით, სასწაულებრივად გადარჩენილი რამდენიმე საგვარეულო ნივთით, განუყრელი ნაბდით და ჩიბუხით, რომელიც მისმა ერთგულმა მეუღლემ, ჩვენი შეხვედრების სულისჩამდგმელმა ლიკა მგელაძემ, თეზიკას გარდაცვალების შემდეგ მე მიმახსოვრა. მისი ფუფუნების საგანი მხოლოდ პოლანდიური თამბაქო „ამფორა“ იყო, რომლითაც საზღვარგარეთ მოსიარულე მეგობრები უხვად ვამარაგებდით. ჩიბუხზე და „თუთუნზე“ (ასე ეძახდა თამბაქოს) ლეგენდაც კი ჰქონდა: გემრიელად რომ მოექაჩო, სპეცილურად ამოღებული კბილის ადგილი მივუჩინეო.

ამავე დროს პეტრეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ჭერთან (ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით) და ამ ჭერის შეგრძნე-

ბას მას ანიჭებდა მცხეთაში, ჯვრის მონასტრისკენ მომზირალი, მისივე ხელით შეკონინებული პატარა სახლი, რომელსაც მეგობრებმა ხუმრობანარევი სერიოზულობით „მეფის საზაფხულო რეზიდენცია“ შეარქვეს. აქ იგი საყვარელი მელა კირილეს, კაჭკაჭ მათიკოს, ერთგული ნაგაზების აბრეკ I და აბრეკ II-ს საზოგადოებაში, გაზაფხულზე აყვავებული ნუშისა და ატმის სურნელით, ზამთარში – მინავლებული ბუხრის სითბოთი ტკებობდა და ჰქმნიდა. აქ, ალბათ მას არ სჭირდებოდა თავისი მეგობრებისაგან დაემალა ის ნამდვილი აღმოსავლური კაეშანი, რომელსაც სხვა დროს დაკვირვებული ახლობელიც კი მის თვალეში ძნელად თუ ამოიკითხავდა. ვინ იცის, რა გრძნობებს აღუძრავდა პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ჯვრის მონასტერთან, სვეტიცხოველთან სიახლოვე?! ან როგორი ტანჯვით იწრებოდა მამის საფლავთან მისული შვილის სული მინიერი ცოდვების ლექისგან („წმინდაო, წმინდაო, წმინდაო მარიაო...“)? გულღია თეზიკა, თავად სიყვარულის სათავე და ასეთივე წრფელი სიყვარულით ახლობლებისაგან განებივრებული, სულის ნიაღში მაინც ეული იყო.

როგორც ცნობილია, პეტრეს მამა – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის მემკვიდრე, პეტრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში, რომლის რესტავრაციის დროს საპატრიარქომ თეზიკას შესთავაზა მამის საფლავზე მემორიალური ქვის დადება. მუდმივად ხელმოკლეობაში მყოფს, თეზიკას საშუალება არ ჰქონდა ღირსეული პატივით შეემკო საფლავი. მაშინ, ჩვენმა მეგობარმა, მშენებელმა დათიკო ცერცვაძემ მცირე ზომის შავი მარმარილოს ქვა იშოვა და უსახელო საფლავი სახელდებული გახდა. მეგობრების ერთ-ერთ უახლოეს თავყრილობაზე ბიძინა კვერნაძემ თეზიკას „უსაყვედურა“: „შე კაი კაცო, მამაშენის საფლავზე დასადებად „ზაჟიგალკის“ ქვის მეტი ვერაფერი გაიმეტეო?“ ბიძანაზე ვინ გაბრაზებულა, პეტრე რომ გაბრაზებულყო?! საკვირველია მაინც, როგორ ვიყავით შელაზლანდარავებული ამ მეფე-კაცთან?

ასეთი გულღია ხუმრობის, ლაზლანდარობის, კაფიაობის, ერთმანეთის სიყვარულით თრობის პროცესში ბევრი საუკეთესო იდეა და პროექტი იბადებოდა, ზოგს ეწერა განხორცილება, ზოგს კი – არა. პეტრე შესანიშნავად შეიცნობდა ნებისმიერი უცხო ენის სპეციფიკას, რაც მკაფიოდ გამოიხატა კიდევ მის არაერთ თარგმანში. მე (როგორც ინგლისური ენის სპეციალისტმა) და თეზიკამ ინგლისურიდან ვთარგმნეთ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“ და ცნობილი შექსპიროლოგის გივი გაჩეჩილაძის ოფიციალური ხოტბაც დავიმსახურეთ.

დაუვინყარია პეტრეს მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანის კრიტიკული და დახვეწილი ანალიზი.

ერთობლივი შემოქმედებითი ნიაღვრეები ყოველთვის ხდებოდა მთელი ჩვენი სამეგობროსთვის საიმოვნების მომგვრელი განსჯის საგანი.

თეზიკა თავის ლექსებს ყოველთვის განმარტოებაში ჰქმნიდა. ეს განმარტოება ხანმოკლე იყო. მაგალითად მოვიყვან მთელს მსოფლიოში ნამღერ „თბილისოს“. ერთ საღამოს, ჩვეულ შეხვედრაზე მოვარდა (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) რეზო ლალიძე და პეტრეს სთხოვა სასწრაფოდ დაენერა ლექსი დოკუმენტური ფილმების სტუდიისთვის უკვე დაწერილ და მიყიდულ მუსიკაზე (რეზოს თურმე ფული უკვე აღებული და „შექმულიც“ ჰქონია!), ვინაიდან იმავე ღამეს უნდა მომხდარიყო სიმღერის გაორკესტრება. თეზიკამ მხრები აიჩიერა, არაფერი უპასუხა, გავიდა თავის კაბინეტში და ნახევარ საათში გამოვიდა მზა ლექსით. აპრობაციაში აღფრთოვანებაში ჩაიარა. მე რეზოს შევთავაზე ეს სიმღერა თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმღერის კონკურსზე წარედგინა, მაგრამ მან უორიც არ მათხოვა. მე არც ვაცეი, არც ვაცხელე. გამოვტაცე რეზოს ხელიდან უკვე მზა სიმღერა და გავიქეცი. მომაკითხეს სახლში, ბევრი მეძებეს, მაგრამ ვერსად მიპოვეს. რეზოს რისხვასა და ჩემი მისამართით გინებას თურმე საზღვარი არ ჰქონია. დილით ეს მონაპოვარი გავაქანე კულტურის სამინისტროში, გავატარე საკონკურსო კომიტეტში (რომლის წევრიც ვიყავი) და ასე ჩავაგდე ბ-ნი რეზო ლალიძე კინოსტუდიის ვალში.

„თბილისომ“ კონკურსში გაიმარჯვა და სულ მალე საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოიპოვა. კონკურსში გამარჯვებულმა ავტორებმა, ცხადია, პრემია „დაასველეს“, რის შედეგადაც რეზო ლალიძე და მის მანქანაში მსხდომი სტუმრები აღმოჩნდნენ უშველებელ თხრილში. ავარიას შედეგად მოჰყვა არჩილ (ტუხა) კერესელიძის ბუნებრივად ბრტყელი ცხვირის გასწორება და სულხან ნასიძის ბუნებრივად სწორი ცხვირის გამრუდება, აღარაფერს ვამბობ თვით რეზოს ტრამპებზე. ასეთი ფასი დაგვიჯდა „თბილისოს“ ეგზომ დიდი წარმატება. ადვილი წარმოსადგენია, რამდენ ხანს იკვებებოდა ჩვენი სამეგობრო ამ ამბის ავ-კარგის გამოწვეულიღვითი განხილვით.

1984 წლის 13 აგვისტოს პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკიმ სული დალია თავის საყვარელ ჭერქვეშ, მცხეთაში. ლიკას თქმით, იგი უდ-

რტვინველად დაემშვიდობა წუთისოფელს და მარადიულობას შეუერთდა („წუთისოფელია ასეა...“).

მაგრამ, ვაი რომ, თბილისის იმდროინდელ მამებს საბურთალოს პანთეონში საქართველოს მეფეთა შთამომავლისთვის ორი გოჯი მინა არ ემეტებოდათ. მხოლოდ ჩემს მიერ დაჟინებული მოთხოვნისა და ცკ-ს მდივნის დევის სტურუას ჩარევით შესაძლებელი გახდა პეტრეს პანთეონში დაკრძალვა.

1996 წლის 1 დეკემბერს საქართველოს პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის კურთხევით პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი, საქართველოს სამეფო გვარის ღირსეული შვილი და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი, დაუბრუნდა მცხეთას, სვეტიცხოვლის ტაძრის ისტორიულ მინას და მის დიდებულ წინაპართა გვერდით ჰპოვა საუკუნო განსასვენებელი. აკი სიცოცხლეშიც იქ ტრიალებდა მისი ნათელი სული.



აკაკი ლვლიშვილი

პეტრე გრუზინსკი

თბილისო, მზის და ვარდების მხარეო
უშენოდ, სიცოცხლედ არ მინდა...

თბილისში არ არის ადამიანი, სულიერი, რეზო ლალიძის მელო-
დიას ჩაქსოვილი ეს სტრიქონები გაიგონოს და გული არ შეუტოკდეს.

ამ სტრიქონების ავტორი – პეტრე გრუზინსკი, ახლა მამის, პეტრე
ბაგრატიონ-გრუზინსკის გვერდით განისვენებს სვეტიცხოვლის
ტაძარში.

მთელი შეგნებული ცხოვრება თბილისსა და ადამიანის სიყვარულს
მიუძღვნა. ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე რამდენიმე
კაცს თუ შევხვედრივარ თეზიკას მსგავსს (თეზიკას ახლობლები ვეძახ-
დით) ბავშვის ცრემლივით სუფთასა და ალალს.

ჭეშმარიტად ალალი კაცი იყო, ფუტკარივით მშრომელი. ლექსი
მისთვის აღსარება იყო, სასიმღეროდ დაწერილი სტრიქონები კი —
მისი ლუკმა-პური. ქართული თეატრის, კინოსა და ესტრადის სამსახუ-
რი მისი სიცოცხლის აზრი გახლდათ.

ნაგრძნობისა და განცდილის ლექსად გამოთქმის ნიჭი იყო მისი
სიმდიდრე. ნამდვილი თბილისელი მგოსანი ეთქმოდა, რამდენი ლა-
მაზმანის ეშხი და ქალობა შეამკო, სიყვარული უძღვნა და უკედავყო
სიტყვიტა და ჰანგით.

კაცი, რომლის სტიქია ლხინი იყო, მთვრალი არასოდეს მინახავს.
სიკეთით, სიყვარულის ნიჭით უხვად დაჯილდოებული, მოკრძალებ-
ული, ცამდე მართალი კაცი გახლდათ პეტრე გრუზინსკი.

სხვისი ნიჭის შეფასების დროს უშურველი და შეუმცდარი, საკუ-
თარი თავის მიმართ მკაცრი და მომთხოვნი იყო ყველა საქმეში.

თეატრი იყო მისი სულიერების ტაძარი. სიყვარულით და ღრმა
პატივისცემით იგონებდა სულგანათლებულ ვასო ყუშიტაშვილის
მფარველობით მარჯანიშვილის თეატრში გატარებულ დღეებს. უშეც-
დომოდ შეეძლო მსახიობის მიერ შესრულებული როლის აკვარგის
შეფასება, დამწყებ მსახიობზე კი, თუ ნიჭს იგრძნობდა, უმაღ იტყოდა:
სასკორავში ეტყობა, მსახიობი დადგებო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტური თეატრის სცენაზე პეტრე გრუზინსკი დგამს მიხაილ ლერმონტოვის „დემონს“ და ალექსანდრ პუშკინის „ქვის სტუმარს“. იმდენად მშვენიერი იყო ამ სპექტაკლში, რომ საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველომ, 1944 წელს, ახალგაზრდა რეჟისორი (იგი 24 წლისა იყო) ხაშურის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნა.

სტუდენტობის პერიოდში მოკრძალებით შეჰბედა ქართულ სიტყვას.

1944 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააარსა ხელნაწერი ჟურნალი „ანათემა“ (გამოვიდა რამდენიმე ნომერი). მისი ლექსი: „დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი...“ ჟურნალის დახურვისა და მთელი სარედაქციო ჯგუფის დაპატიმრების საფუძველი შეიქმნა. პატიმრობიდან ერთი წლის შემდეგ, 1945 წლის მიწურულს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ოთხი წლის იძულებითი მკურნალობის შემდეგ გამოუშვეს, მაგრამ სუკის ზედამხედველობა და თვალთვალი არასოდეს მოჰკლებია. მახსოვს, სანაპიროზე გავლისას, მანქანას გააჩერებდა, სევდიანად შეავლებდა თვალს სულით ავადმყოფთა სევდიანი სავანის რკინის გისოსებს... პეტრე გრუზინსკიმ კვბ-ს მკაცრი რეჟიმი ღირსეულად განელო, როგორც კაცმა და სამეფო გვარის შვილმა, თუმცა რეპრესიებმა მის ჯანმრთელობაზე ნარუშლელი კვალი დატოვეს. მიუხედავად შეჭირვებისა, როგორც ღირსეულ კაცს შეჰფერის, არასოდეს უწუნუნია.

მცხეთის აგარაკი იყო მისი სულის თავშესაფარი, აქ იგი ლალად გრძნობდა თავს. მეგობრებთან საუბრის თემა მუდამ იყო თეატრი, კინო, ესტრადა და ლიტერატურა. ქვეყნის სულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებაზეც იმართებოდა ხოლმე მწვავე კამათი, მაგრამ საკმარისი იყო, ოჯახის თუნდაც ერთი წევრი გამოჩენილიყო, საუბარი უმალ წყდებოდა.

ბაგრატიოვანთა გვარის ჩამომავალს ნადირობა და თევზაობა უყვარდა. ნადირობა უფრო სიმბოლური გასეირნება იყო მთებში, ვიდრე „ნადირთა ხოცვა“, პეტრე გრუზინსკის წყალობით მოვიარე მთიულეთი, ხევსურეთი და ფშავი. ხატობაზე რომ მოვხვდებოდით, როგორც მეფე ერეკლეს შთამომავალს, უხუცესები დიდი პატივისცემითა და მოწინებით ეგებებოდნენ.

მახსოვს, ერთხელ, მთიულეთიდან ვბრუნდებოდით, გზაში მანქანა გაგვიფუჭდა, პეტრემ ვერაფერი მოუხერხა. სოფელი არც თუ

ისე შორს იყო, ამ დროს ახალგაზრდებმა გამოიარეს და დახმარება შემოგვთავაზეს. პეტრე საჭეს უჯდა, ჩვენ კი მანქანას მივაგორებდით. ვიხუმრე, ველარ მოვრჩი ბაგრატიონის სამსახურს მეთქი. ბიჭებმა ყურები ცქციტეს და მთელი სერიოზულობით მკითხეს, მართლა ბაგრატიონიაო ეს კაცი – ვუთხარი, მეფე ერეკლეს შთამომავალია, მისი მამა მცხეთაში არის დაკრძალული მეთქი. მანქანა სოფელში შევაგორეთ და პირველსავე სახლთან გავეჩერეთ. ყმანვილები სახლში შევიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ სახლიდან ხანში შესული ქალი და დარბაისელი მამაკაცი გამოვიდნენ და თავაზიანად შეგვიპატიჟეს შინ. შეცივებულებს თავპატიჟი აღარ დაგვიდვია, მასპინძლებს სახლში შევყევით და ბუხარს მივუსხედით. გაიბა საუბარი, პეტრე ყოველთვის მოკრძალებული საუბრობდა მისი გვარისა და წინაპრების შესახებ. მე კი, თუ რამ ვიცოდი ბაგრატიონთა შესახებ, დიდი შთაგონებით ვუამბე მასპინძლებს. საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა, დაკეპილი ხინკალი შემოიტანეს, ყიპიტაურიც მოაყოლეს და სუფრაც უფრო შინაარსიანი გახდა. პეტრე დარდიანი იყო მანქანის გამო, მაგრამ მასპინძლის ვაჟიშვილს სოფლის გამოცდილი მძლოლი მოეყვანა და მანქანაც გაემართა.

პეტრემ მასპინძლის ვაჟს უპატრონა, მცხეთაში სამსახური უშოვა და მალე ნათელმირონობითაც დანათესავდნენ. ასეთი ნათესავები და მეგობრები ბევრი ჰყავდა პეტრეს მთიულეთში, ხევსურეთსა და ფშავეში.

თევზაობა ხომ მისი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილი იყო. მტკვარზე, არაგვზე, ხრამსა და სიონის წყალსაცავეზე თევზაობისას სრულდებოდა განსაკუთრებული რიტუალი, რომლის დარღვევა მუდამ მკაცრი განხილვის საგანი ხდებოდა ხოლმე.

პეტრე ბადით თევზაობდა და ამ საქმის დიდი ოსტატიც ბრძანდებოდა. წყლიდან ამოკრეფილ ბადეში ხელის მარჯვე მოძრაობით მოძებნიდა იმ თევზებს, რომლებიც მდინარეს უნდა დაბრუნებოდა, ბადიდან ამოიყვანდა თევზს, რალაცას ჩასჩურჩულებდა, აკოცებდა და მერე გადაისროდა შუა მდინარეში.

ყოველთვის გემრიელად შევექცევოდით პეტრეს მოხარშულ ცოცხალს. თვითონ კი მხოლოდ გემოს უსინჯავდა – საერთოდ, მცირე ულუფის კაცი იყო. სუფრის მაღლი და ყადრი იცოდა, ცდილობდა ლამაზი სიტყვა, იუმორი და კაცის ღირსება წარმოჩენილიყო, მოგებსენებათ, ნასვამი კაცი რას არ იტყვის, მაგრამ ხატზე დავიფიცებ, პეტრესგან ბილწი სიტყვა არასოდეს გამიგონია.

დანყებულნი 60-იანი წლებიდან თბილისში არ ჩატარებულა ხელოვნების და ლიტერატურის დეკადა, სახალხო დღესასწაული, საზეიმო კონცერტი, რომ პეტრე გრუზინსკის, როგორც პოეტს, დრამატურგს, სცენარის ავტორს მონანილეობა არ მიეღოს. რეჟისორები: არჩილ ჩხარტიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, მიხეილ თუმანიშვილი, გაიოზ ქართველიშვილი, დორეან კიტია და სხვები პეტრე გრუზინსკის პროფესიონალიზმში ხედავდნენ თავიანთი ჩანაფიქრის ხორცის შემსხმელ ავტორს.

დღესასწაულებს ამშვენებდა მის სტრიქონებზე დაწერილი არჩილ კერესელიძის, რეზო ლალიძის, გიორგი ცაბაძის, შოთა მილორავას, ბიძინა კვერნაძის, გუგული თორაძის, სულხან ცინცაძის, გაიყანჩელის, ვაჟა აზარაშვილის, ნუნუ გაბუნიას და იაშა ბობოხიძის მუსიკა, რომელსაც შემდეგ ხალხი მღეროდა.

დრამატული თეატრის სპექტაკლებს ყოველთვის ამდიდრებდა პეტრე გრუზინსკის პოეტური ნიჭის გამონაშუქი. რომელი ერთი ჩამოვთვალო: რუსთაველის თეატრის „ხანუმაში“ აკოფას კუპლეტები, რამაზ ჩხიკვაძის ნიჭიერებით დამშვენებული /რეჟისორი რობერტ სტურუა/; რუსთაველის თეატრის „ლამანჩელში“ /რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე/, ოთარ მეღვინეთუხუცესის გულში ჩამწვდომი ინტონაციები; მარჯანიშვილის თეატრის „ძველი ვოდევილებში“ ვასო გოძიაშვილის მიერ ვირტუოზულად ნამღერი სალალობო ლექსები...

ყველა ხსენებული სპექტაკლი დამუხტული იყო რეჟისორის, კომპოზიტორის, მსახიობის დიდი ხელოვნებით და პოეტ პეტრე გრუზინსკის, როგორც პროფესიონალის, ნიჭიერების ხიბლით.

პეტრე გრუზინსკის პოეტური სტრიქონები ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში გახმოვანდა და ქართული ესტრადის მშვენებად იქცა.

სამაგალითოდ გავიხსენოთ „თბილისო“, რომელსაც ბრწყინვალედ მღეროდნენ დები ჩაფიძები, მშვენიერი ბერძენი მომღერალი იოვანა, რომელმაც „თბილისო“ თავის საგასტროლო რეპერტუარში საქართველოს სიყვარულის ნიშნად დაამკვიდრა. ნანი ბრეგვაძე, რომელიც ბრწყინვალედ გრძნობდა პეტრე გრუზინსკის ლექსებში უკიდვანოდ განფენილ სიყვარულს, მერი შილდელი, მარეზ გოძიაშვილი, ლილი გეგელია, ზურაბ რცხილაძე, ბუბა კიკაბიძე, ედუარდ სეფაშვილი, სულიკო კოროშინაძე და სხვები დიდის ეშხითა და სინატიფით ასრულებდნენ პეტრეს ლექსებზე შექმნილ სიმღერებს.

პეტრე გრუზინსკის სიყვარული თეატრისადმი მის შვილში, ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის სულიერებაში გადასახლდა და იგი

ღირსეულად ემსახურება ქართულ თეატრს. ალბათ ხელოვნების მსახურთა გენმა მიიზიდა მშვენიერი მსახიობი, ქალბატონი ლეილა ყიფიანი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის უღელში.

სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა და მადლი დაანათლა მის შვილებს, ბადრი გრუზინსკის როგორც კომპოზიტორს და ქალიშვილს მზია ბაგრატიონს.

პეტრე გრუზინსკის მოკრძალებული პოეტური მოღვაწეობა ათეული წლების მანძილზე წმინდა სანთელივით ენთო ქართული კულტურის საკურთხეველზე.

მისი მფარველი ანგელოზი გახლდათ მთელი ცხოვრების მანძილზე ღირსეული ქალბატონი, პეტრეს მეუღლე და მეგობარი ლიკა მგელაძე.

პეტრე გრუზინსკის ოჯახი – პოეტის არქივში რუდუნებით ინახავს ასზე მეტ ლირიკულ ლექსს, მოგონებებს და ფოტო მასალას.

ქალბატონმა ლიკა მგელაძემ, ახლო მეგობრებმა, მისი პოეტური შთაგონების მუზეუმმა და თაყვანისმცემლებმა შემოინახეს მისი ლექსები.

დიდად გავიხარებდი, პეტრე ბაგრატიონის რჩეული ლექსები წიგნად გამოცემული რომ მენახა.

2004 წლის იანვარი



მიზა ლორთქიფანიძე

რამდენიმე სიტყვა პეტრე გრუზინსკიზე

პეტრე გრუზინსკისთან რამდენიმე ათეული წლის მეგობრობა მაკავშირებდა. ვერელები ვიყავით ორივე. ცოტა ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ეს არ გვიშლიდა მეგობრობაში ხელს. მას საოცარი უნარი ჰქონდა სხვადასხვა ასაკის ხალხთან ურთიერთობის დამყარებისა. ახლანდელი დიდი საკონცერტო დარბაზის პირდაპირ ჰქონდა სახლი, იქ იყო თბილისელი ახალგაზრდების თავშეყრის ცენტრი. ამას ძალიან უნყობდა ხელს ლიკა მგელაძეც – მისი მეუღლე.

ყველაზე მთავარი, რაც პეტრეს შესახებ უნდა ითქვას, ის არის, რომ მას ჰქონდა უკომპრომისო სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მე რომ გავიცანი, ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცდილი პატიმრობა. მინდა სიამაყით განვაცხადო: არსებობდა ნამდვილი დისიდენტი, პროფესიით თეატრის რეჟისორი, რომელიც ჩვენს ინსტიტუტშიც მუშაობდა წლების განმავლობაში – ბატონი ალექსანდრე მიქელაძე. გაუთავებლად ციხეში იჯდა თამამად და უხეშად გამოთქმული აზრების გამო და ყოველთვის სასტიკად, დაუნდობლად მსჯელობდა იმ ადამიანებზე, ვინც გადასახლების თუ დაპატიმრების პერიოდში სისუსტე გამოიჩინა და თავის პრინციპებს უღალატა, მეტისმეტად მკაცრი იყო... ბატონი საშა პეტრეზე ამბობდა: იგი იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც ბრწყინვალედ ჩააბარა ცხოვრების გამოცდაო. გახსოვთ ალბათ, რა მოთხოვნებს უყენებდნენ მაშინ: უნდა გაგეთქვა – ვინ იყო თქვენთან ერთად... რა ორგანიზაციაში იყავით... ამას გაუძლო, სუფთად გაიარა განსაცდელი, ვერც ნამებამ მიაყენა ჩრდილი პეტრეს პიროვნულ ღირსებას...

იმდენად მიუღებელი იყო პეტრესთვის ის სახელმწიფო სისტემა, რომელშიც ვცხოვრობდით, რომ არასოდეს ყოფილა არც ერთი კავშირის (მწერალთა, თეატრალური და სხვა მოღვაწეთა კავშირის) წევრი... არასოდეს გამოუქვეყნებია თავისი ლექსები. იშვიათად, ლიკას სახელით იბეჭდებოდა. უკაცრავად ჩემს თაობასთან და ჩემ საკუთარ თავთანაც, მაგრამ ჩვენ ხომ ვცდილობდით გამოგვეძებნა საერთო ენა ხელისუფლებასთან, რომ გვეცხოვრა... ის – უკომპრომისი იყო...

წერდა შესანიშნავ ტექსტებს სიმღერებისათვის. იმდროინდელი სიმღერების 90% მის ლექსებზეა დაწერილი. მეგობრობდა რეზო ლალიძესთან, გოგი ცაბაძესთან, არჩილ კერესელიძესთან, გუგული თორაძესთან...

ერთი პერიოდი რეჟისორის თანაშემწედ მუშაობდა მარჯანი-შვილის თეატრში, ამასაც თავი დაანება. მისთვის მიუღებელი იყო ყველაფერი, რაც მაშინ ხდებოდა ჩვენს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, წარმოშობა ხელს უშლიდა, რომ მშვიდი ცხოვრება ჰქონოდა საბჭოთა რეჟიმში, მაგრამ ამასთან ერთად დიდ სულიერ და ფიზიკურ ძალასაც აძლევდა, რომ გაეძლო.

ვეზუმრებოდი: ნამდვილი მეფე ხარ, ამას არ უნდა არანაირი მტკიცება-მეთქი. რატომო? აბა რა! გიყვარს ნადირობა, თევზაობა, ლექსებს წერ, გიყვარს ქალები და ქეიფი... მეფის საქმეც ეგ არის-მეთქი... ვპასუხობდი.

ქეიფშიც ისეთი რომანტიკოსი იყო, რომლის მსგავსიც სხვა არავინ შემხვედრია ცხოვრებაში... ის არ იყო ღრეობისა და გაუთავებელი სადღეგრძელოების მომხრე... ყველაზე სასიამოვნო იყო მისთვის ქალაქიდან გასვლა და ბუნების წიაღში ქეიფი. მე არც თევზაობა მეხერხებოდა, არც ნადირობა, მაგრამ ყოველთვის თან დავყვებოდი, იმიტომ, რომ ვიცოდი რა დღესასწაულით დასრულდებოდა ის საღამო. მერე რა შესანიშნავად იცოდა ქართული ბუნება. მისხალ-მისხალ ჰქონდა შესწავლილი საქართველო.

საერთოდ, გამოუსწორებელი ოპტიმისტი იყო, სიცოცხლის უსაზღვროდ მოყვარული კაცი... ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც, შემიმჩნევია, რომ სინამდვილეში სევდიანი, დარდით სავსე გული ჰქონდა.

წერდა საინტერესო პროგრამებს ფილარმონიისათვის... მახსოვს, რუსთავის თეატრში დავინწყე მუშაობა მიუზიკლზე – „ლამანჩელი“. შესანიშნავად თარგმანა და შესანიშნავი ტექსტები დაწერა სასიმღეროდ... იქ გამოჩნდა მისი თავისუფლებისმოყვარე სული...

პეტრე გრუზინსკი ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო, იგი იმ ეპოქაში ცხოვრობდა, რომელიც მისთვის არ იყო განკუთვნილი... მისი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა კი ის გახლდათ, რომ ამ ვითარებაშიც იცხოვრა ისე, როგორც მას სწამდა... და არა ისე, როგორც „საჭირო“ იყო ან სხვებს სურდათ.

ხალხი ჭკუას კარგავდა მისი სიყვარულით. მახსოვს, როგორ ხვდებოდნენ მას მეტყვევები, მდინარისა თუ წყალსაცავის მცველები. მას მაღალი ზნეობის ადამიანის ფსიქოლოგია ჰქონდა: ადამიანებთან

ურთიერთობისას არც მათ საზოგადოებრივ მდგომარეობას აქცევდა ყურადღებას, არც ეროვნებას. სწორედ ამ თვისების გამო, უფულოდაც რომ ნავეყვანეთ, ნებისმიერ დუქანში სიხარულით გაგვიშლიდნენ სუფრას, ბოლომდე ენდობოდნენ... გავიხსენოთ მისი ლექსის სტრიქონები: „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე“.

ეს ხომ უდავოდ ზნეობრივი სრულყოფილებაა...

პეტრესთან გატარებული მრავალი წელი უსაყვარლეს და საინტერესო მოგონებად დამრჩა. მე ვპოულობდი მასთან შინაგან ჰარმონიას. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ მე მგონი, მასაც ძალიან ვუყვარდი... ქორნილში ჩემი ხელისმომკიდე იყო და ეს ჩემი ოჯახის სიამაყეა.

პეტრე გრუზინსკიზე მოგონებები მინდა ერთი ღიმილიანი ამბით დავასრულო: ცნობილია, რომ ქალების მოყვარული კაცი იყო, მანდილოსნებიც გიჟდებოდნენ მისთვის... მაპატიოს ჩემმა ლიკამ, ცხოვრება უკვე ნავიდა და შეიძლება ამაზე ლაპარაკი... როცა ვუთხარი: პეტრე, ცოლი მომყავს-მეთქი, მკითხა: მე ვიცნობო? შენს ნაცნობს როგორ შევირთავ-მეთქი? – აღვშფოთდი ხუმრობით... ხშირად მახსენდება მაშინდელი სიცილი...

ასეთი იყო ჩემი მეგობარი, კაცი, რომელმაც ასე სუფთად შეძლო გამოვლა საბჭოთა წლების... რაც ასე იშვიათია...



ირაკლი შვულაყა

„ამხანაგი“ ტახტის მემკვიდრე

ბავშვობიდანვე თავდავიწყებით მიყვარდა მეფე ერეკლე. ახლაც, ამ სიბერის ჟამსაც, მახსოვს ბავშვობაში ნასწავლი ბესიკის ლექსი: – „ღმერთო, მოეც დიდი დღე, მტერზე განაძლიერე, ობოლთ, ქვრივთა და გლახაკთა მწე, ირაკლი!“ შემდეგ თანდათან მივხვდი, რომ ეს უბრალო გატაცება კი არ იყო, არამედ სულში დაბუდებული, გაუხუნარი სიყვარული. გავიდა წლები და გონებაში მომნიჭდა აზრი, დამენერა ერეკლე მეფეზე, მის ხანაზე სათავგადასავლო მოთხრობათა ციკლი: „ბატონიშვილ ერეკლესა, ირმის ძუძუ უნოვია!“... როცა განზრახვა მეგობრებს გავანდე, და მასალების შეკრება დაეიწყე, ბ. კანდელაკმა გადმომცა პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში რუსუდან ორბელის მიერ შედგენილი მუზეუმის აღწერის I ტომი, რომელშიც აღბეჭდილი იყო მეფე ერეკლეს ოჯახის წევრთა ვრცელი სია.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა!

მეფე ერეკლეს, ვისაც, თურმე ღამეშვიკოთხი საათი ეძინა, ვინც კვირაობითაც არ იხდიდა აბჯარს, – ოცდაცხრა შვილი ჰყოლია!

პირველ ცოლთან ჰყოლია – ორი, მეორესთან – სამი, ხოლო მესამესთან, დარეჯან დადიანთან – ოცდაოთხი.

ახლა, მის უფროს შვილს, ტახტის მემკვიდრეს გიორგი XIII-ს არ იკითხავთ? მას პირველი ცოლი ქიზიყის მოურავის ანდრონიკაშვილის ასული ქეთევანი 13-14 წლისა შეურთავს. იგი ოცდაცხრა წლის გარდაცვლილა, მაშინ მას უკვე ცხრა შვილი ჰყოლია, მეორე ცოლის – მარიამ ციციშვილისა აგრეთვე, 14 წლისა შეირთო, მასთან გიორგის ათი შვილი გასჩენია. მის შვილს ბატონიშვილ ბაგრატს ოცი შვილი ჰყავდა.

მე ვერ დავადასტურებ იმას, რომ რუსუდან ორბელის შედგენილი სია ზუსტი იყოს, მაგრამ სხვა ანალოგიურ ნუსხას მე ვერ მივაგენი, რომ შევადარო, ამიტომ ჩვენ თვითონ დავაზუსტეთ. იყო მეფე გიორგი XIII, მას ჰყავდა შვილი ბაგრატი, ბაგრატს – ალექსანდრე, ალექსანდრეს – პეტრე და პეტრეს კიდევ პეტრე – ჩვენი საყვარელი მეგობარი, რომლის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ ამ მოგონებაში.

* * *

ომამდე სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ თეატრს მარჯანიშვილელთა მსახიობი გ. ლომია ხელმძღვანელობდა. თეატრს ჰქონდა დოტაცია, ჰყავდა ნიჭიერ სტუდენტ-მსახიობთა დასი და ამოუნურავი ახალგაზრდული ენერგია. სხვა რა იყო საჭირო თვითმოქმედებისათვის. გ. ლომიამ ზედიზედ დადგა „ცხერის წყარო“, „ჩატეხილი ხიდი“, „იმედის დაღუპვა“, „პირისპირ“, „ლადო კეცხოველი“, „ჩემი მეგობარი“, მერე გ. ლომია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადავიდა და იგი ცნობილმა მსახიობმა პიერ კობახიძემ შეცვალა. ბატონი პიერი თეატრში ერთობ დატვირთული იყო, ჩვენთვის ვერ იცლიდა, ამიტომ საქმის გაძლოლა ჩვენე ვითავეთ. რასაკვირველია, ყველაფერს პიერს ვუთანხმებდით.

ამ პატარა თეატრალურ კოლექტივში გავიცანი და დავუახლოვდი ფრიად კოლორიტულ პიროვნებას – საქართველოს ტახტის ერთადერთ მემკვიდრეს, პეტრე გრუზინსკის – ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს, მეგობრულ, გულთბილ და გულწრფელ ახალგაზრდას. მას მსახიობური ნიჭიც ჰქონდა და იუმორის გრძნობაც. გონება მამახვილიც იყო.

განსაკუთრებით ენერგიულად ვმუშაობდით აკაკი წერეთლის „პატარა კახზე“. არც მხატვარი მოგვინვევია და არც კომპოზიტორი, ყველაფერი თვითონ გავაკეთეთ, დეკორაციებიც კი. ღამეებს ვათენებდით ენთუზიასტთა ჯგუფი (ვ. ნინიძე, შ. ნარსია, ზ. ჩლაიძე, გ. კობაიძე, კ. ბრეგვაძე, დ. კერესელიძე, ბ. კაციტაძე, გ. ცქიტიშვილი, ძმები ვ. და ლ. მახარაძეები), სცენის დურგალი ივანე და უნივერსიტეტის დარაჯი მოსე ჯორჯოშვილი. ერთ თვეში სპექტაკლი მზად გვქონდა. ტანსაცმელი ოპერის თეატრიდან მოვიტანეთ. „აბესალომ და ეთერის“ კოსტიუმებიდან შევარჩიეთ, აბიო მეფის ტანსაცმელიც ნამოვიღეთ თავის გვირგვინიანად. „პატარა კახში“ მეფე თეიმურაზის როლს ვ. ნინიძე თამაშობდა. ამან ზოგის პროტესტი გამოიწვია, ნამდვილი ტახტის მემკვიდრე დასში იყოს და სხვამ თეიმურაზი ითამაშოსო. მდგომარეობა თვითონ პეტრემ განმუხტა. მე საგნები დამრჩა ჩაუბარებელი, დრო მჭირდება, ამიტომ, ამჟამად უარს ვაცხადებ „მეფობაზე“.

დაინიშნა გენერალური რეჟეტიცია.

მოვიწვიეთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი. დილით დავიბარეთ პიესის მონაწილენი ტანსაცმლის მოსარგებად, დეკორაციებთან შესაგუებლად. გავსინჯეთ ტანსაცმელი. სცენაზე გაიარა ლევან ქვაბულაძემ, რევაზ ბებურიშვილმა, უსინათლო გელამ, თვით პატარა კახმა, ბოლოს გამოჩნდა

მეფე თეიმურაზი. ეს არ იყო ვ. ნინიძე. ვილაც მაღალ ბიჭს უშნოდ მოეგდო მეფის მანტია, გვირგვინი... ის იყო უნდა მეყვირა, ეს ვინ არის-მეთქი, რომ მითხრეს: თავი დაანებე, ეს ჩვენი პეტრეაო, ესე თქვა: ამათ ხელში მე მეფის მანტიას ვინ მალირსებს, აქ მაინც მოვირგო და გავიარ-გამოვიაროო. მერე „მეფე“ სამეფო სავარძელში ჩაჯდა, და ნყალობა გასცა. ჯიბიდან მუჭით კანფეტები ამოიღო და შიმურვანებს თავზე გადააყარა. შეიქნა ერთი ნიოკობა. გოგოებს ეცოტავათ ნუგბარი და იერიში მიიტანეს „მეფეზე“. ის ერთხანს ირწმუნებოდა, აღარა მაქვსო, შარვლის ჯიბეებიც გადმოაბრუნა, მაგრამ ვინ დაუჯერა, მერე სავარძელზე შეხტა, ალბათ, ნახტომი მკეეთრი მოუვიდა, სავარძელი ჩაიშალა, სცენაზე გაგორდა და გოგოებიც თან გაიყოლა...

სალამოს სპექტაკლის დანყების წინ უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმა გვერდზე გამიხმო.

– ვინ თამაშობს, ბიჭო, თეიმურაზ მეფეს? – მეუბნება ამრეზით.

– ვიქტორ ნინიძე.

– ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ საქართველოს მეფის ჩამომავალს ათამაშებთ. იმ ბიჭმა იმაზეც მაღლობა თქვას, რომ უნივერსიტეტში სწავლის უფლებას ვაძლევთ. შეცვალებთ!

– ვინ, ნინიძე?

– ნინიძე გურული ფირალების ჩამომავალია, გრუზინსკი

ორივე ვაჩვენე. ნინიძეს უკვე გრიმიც ჰქონდა, გვირგვინიც ედგა, პეტრე კი თავისი გახუნებული პიჯაკით იდგა.

– უყურე შენ, აბა, შეცდომაში შემიყვანეს? დამაცადოს, ავუნეც ყურებს.

არ ვიცი, აუნია თუ არა ყურები ჩვენთან მოგზავნილ თავის მოყურიადეს.

ერთხელ კიდევ შევხვდით მე და პეტრე უნივერსიტეტის პარტკომს.

* * *

იმხანად უნივერსიტეტის პარტკომის მდივნების ოთურმა იყო გამართული. დიდი ბრახაბრუხით აირჩევდნენ პარტკომს, მერე კაბინეტის ათვისებას არ აცლიდნენ, ისე დააპატიმრებდნენ. სასწრაფოდ მოიწვევდნენ მიტინგს, კიდევ ერთი ხალხის მტრის გამოვლენის თაობაზე. საქმე იქამდე მივიდა რომ, თუ არ ვცდები, მთელი წელი ორგანიზაციას მდივანი არ ჰყავდა. მერე ხმა გავარდა, რომ თვითონ ლ. ბერია დაესწრო საერთო კრებას და მისი რეკომენდაციით დანიშნეს ყოფილი მაღაროელი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის

სტუდენტი დევაძეო. მას თავის კაბინეტში გული არ უდგებოდა, უნივერსიტეტის დერეფნებში დადიოდა დამფრთხალი. ერთხელ დამიბარა და მითხრა: დღეს საუნივერსიტეტო პარტიული ორგანიზაციის კრება უნდა ჩავატაროთ და სცენა მორთე ჯეროვნადო. როცა მზად გექნება, მოვალ და შევამონებო.

...კლუბის კართან პეტრე შემხვდა. შენუხებული იყო, ჩემი საქმე ცუდად არისო, მითხრა, ბევრი გაცდენები მაქვს, ჯგუფხელთან ჩხუბი მომივიდა, დეკანატში მიბარებენ, არ მაპატიებენო.

– შენ ნადი კლუბში, ნახე სცენის მუშა ივანე, გადაეცი, რომ სცენა მორთოს საზეიმოდ. მე კი ნავალ დეკანატში, იქნებ რამე გავახერხო-მეთქი, დავაიმედე.

დეკანატში პეტრეს გალახული ჯგუფხელი დამხვდა. დავანყნარე, მოვეფერე. ვუთხარი, რომ პეტრე ნანობს თავის საქციელს, შერიგება სურს, ბოდის გიხდის-მეთქი. დეკანის მოადგილეც წამეშველა: არ ღირს აყალ-მაყალის ატეხვაო, – უთხრა. პეტრეს ვახარე მისი საქმის სასიკეთოდ შემობრუნება, მერე ვკითხე, გადასცა თუ არა სცენის მუშას დავალება.

– სცენა მზად არისო, მითხრა.

გულმა არ მომითმინა. ავედი სცენაზე. ავანთე სანთელი და... ელდისგან ადგილზე გავშეშდი!..

სტალინის, ბერიას და ჩარკვიანის სურათები ადგილზეა. მაგრამ სხვები ვინ არიან, სტალინის პორტრეტის გვერდით რომ ჩამოუკონწიალებიათ. ახლოს მივედი. ყოველი გვარის ნაკითხვისას, თითქოს ვილაცამ ურო მთხლიმა თავშიო: ზინოვიევი!.. ბუხარინი!.. რიკოვი!.. კამენევი!..

– ივან!

– აქ ვარ. – გამომეხმაურა იგი.

– ესენი ვინ არიან?

– პეტრემ ეგრე თქვა, საზეიმოდო. მეც ეგრე მოვიქეცი.

– საიდან მოათრიე ეს სურათები?

– სცენის ქვეშ მაქვს შენახული, თუ ვინმე გაკლიათ, შემიძლია მოძებნო.

– პეტრე! დაკეტე კლუბის კარი, არ შემოუშვა დევაძე. ივან! ჩამოსენი ეს სურათები. დანვი, დალენე, რაც გინდა, ის უყავი, ოღონდ აქაურობას მოაშორე, ჩქარა, ჩქარა!

* * *

ვინც იმ ხანად უნივერსიტეტში სწავლობდა ან მსახურობდა, კარგად ემახსოვრება 5 ნომერი ტრამვაი. მისი კატასტროფულად გადატვირთული ვაგონები. შიგ ხომ ქაშაყებით იყვნენ ჩალაგებული მგზავრები, ახლა გარეთ: საფეხურებზე, გვერდებზე, უკან ხალხი იყო ჩამოკონწიალებული. დენის დარტყმისა ეშინოდათ, თორემ სახურავზე ავიდოდნენ. და ასე, ტაატიტ მიემართებოდა ეს ტრამვაი უნივერსიტეტამდე, მერე კი ხალვათად აგრძელებდა გზას. ასეთი განამანის მიუხედავად, მილიცია მაინც ატარებდა ხალხში „ალმზრდელობით მუშაობას“. მგზავრი, როგორც წესი, უნდა ასულიყო ტრამვაიში უკანა ბაქნიდან და ჩამოსულიყო წინიდან. წესის დამრღვევი ჯარიმას (მანეთს) იხდიდა. იქვე თუ არ გადაიხდიდი, მილიციის უბანში მიგაბრძანებდნენ, ორ-სამ საათს მოაჯირს მიღმა გაყურყუტებდნენ და მერე სახლში გაახლებდნენ ჯარიმის ქვითარს (ხუთი მანეთი).

მე და პეტრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მივდიოდით. გვაგვიანდებოდა და ტრამვაის წინა ბაქანზე ავხტით.

გაისმა სასტვენის ხმა!..

ციმციმ ჩამოგვიღეს ტრამვაის საფეხურიდან და ჯარიმის გადახდა მოგვთხოვეს. სად გექონდა ფული? მაშინ სამილიციო უბანში მიგვაბრძანეს. თითქმის სამი საათი გვაძყოფეს მეტად ჭრელ საზოგადოებაში. მილიციის სამორიგეო, თითქოს განგებ, სავსე იყო ქურდებით, ჯიბიგირებით, თალღითებით, მეძავეებით... შეშინებული წრუნუნებით კუთხეში ვიყავით შეყუყულნი.

დღეს იწურებოდა, როდესაც მოვაგონდით.

– აბა, სტუდენტებო, იხდით თუ არა ჯარიმას?

ჯიბეები მოვიქექე. სპილენძის დიდი შაურიანი ამოვიღე.

– ამის მეტი არაფერი მაქვს.

– მაშინ სახლში გაახლებთ ქვითარს. შენ რას იტყვი? – ჰკითხა პეტრეს.

– არ მაქვს ფული. – ჯიუტად მიუგო მანაც.

– მაშინ აქ კი არ გაგაჩერებ, სარდაფში ჩაგაყუდებ. მერე იქვე მდგომ მილიციელს უბრძანა: – ჩააგდე მესამეში, ახლავე. აყურყუტე ჩემი მორიგეობის დამთავრებამდე.

მილიციელმა უხეშად ჰკრა ხელი, ნავიღეთო.

– როგორ ბედავთ! – ვიყვირე მე. – იცით ეგ ვინ არის?

– ვინ ბრძანდება?

– საქართველოს უკანასკნელი მეფის ჩამომავალია, ტახტის მემკვიდრეა, უბრწყინვალესი თავადი! – ერთი ამოსუნთქვით წარმოე-

თქვი. მილიციელი დაიბნა, მორიგეს შეხედა. მორიგემ კიდევ ერთხელ შეათვალიერა პეტრეს პირადობის მონმობა.

– ვინ არიო? – იკითხა მცირე პაუზის შემდეგ.

– საქართველოს ტახტის მემკვიდრე.

– მერე სად არის მაგის ტახტი?

– შე კაი კაცო, ტახტი თუ დაიკარგა, სინდისი ხომ დარჩა. მანეთის გულისათვის კაცს მესამე საკანში აგდებ, ეს საქმეა? – შეეპასუხა ერთ-ერთი პატიმარი.

– ხმა ჩაიწყვიტე! – უყვირა მორიგემ. – შენი დასაცავი არაფერი სჭირს ამას.

– რა ელევანტურია. – მოისმა ქალის ხმა.

პატიმრებს არ უსმენდა მორიგე. ხელში პეტრეს მონმობას ათამაშებდა. ფიქრობდა, რა ექნა. ბოლოს ირონიულად უთხრა:

– მიბრძანდით, ამხანაგო ტახტის მემკვიდრე!

* * *

სადღაც, ლენინგრადის მისადგომებთან, დიდი ხნის უნახავი, ფრიად საყვარელი პიროვნება – ფოსტალიონი გვენჯია. თბილისიდან ნათესავი მწერდა: ყურმოკრული ამბავი უნდა გაცნობო, თბილისში დააპატიმრეს ახალგაზრდები, რომელთაც დარიალთან პურ-ღვინოთი გერმანელებთან შეხვედრა და შენი ძმაცაცის – პეტრე გრუზინსკის მეფედ კურთხევა განუზრახავთო. უფრო გვიან – 1945 წელს, რიგაში კვლავ მივიღე წერილი იმავე ნათესავისაგან. დარიალის ოპერაციიდან ზოგი დახვრიტეს, ზოგი გადაასახლესო, პეტრეს ბედი გაურკვეველიაო.

არმიიდან დემობილიზაციით რომ დაებრუნდი, პირველ რიგში სტუდენტთა თეატრის თანამოღვაწენი მოვიკითხე. პეტრე არ ჩანდა. მხოლოდ მოგვიანებით შევხვდი. საავადმყოფოში ვინეექიო, მითხრა. დავაცქერდი სახეში, გაფითრებული კი იყო, მაგრამ თვალები ისევ მეტყველი, ჭკვიანური ჰქონდა, ისევ ის წერნეტა ბიჭი იყო.

ნათქვამია, თევზმა რაგინდ აამღვრიოს წყალი, მისი თეთრი ბოლო მაინც არ დაიმალებათო. ბედმა სად არ ატარა პეტრე, როგორ არ აუშლვრია წყალი, მაგრამ „თეთრი ბოლო“ – ნიჭი მაინც არ დაიმალა. გამოხდა ხანი და პეტრემ კინოსცენარი დაწერა (ფილმიც გადაიღეს), მუსიკალური კომედიის ლიბრეტოც დაწერა. საესტრადო კოლექტივები, ცალკეული მომღერლები, კომპოზიტორები ბუზებივით ეხვეოდნენ. ესტრადაზე, რადიოში, ტელეეკრანიდან პეტრეს ტექსტებზე დაწერილ სიმღერებს გადმოსცემდნენ.

მერე გავიგე, ავადმყოფობსო. ტელეფონით ვესაუბრე, ვთხოვე, ერთად შეეკრიბა ყველა ლექსი, თუ თვითონ ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, მე მიეხმარებოდი და ერთი კრებული გამოგვეცა.

მაგრამ არ დასცალდა.

პეტრეს პანაშვიდზე, სადარბაზოსთან, სტუდენტთა თეატრის რამდენიმე ნევრილა შევიკრიბენით. პანაშვიდი იწყებოდა.

– დროა, ავიდეთ. – თქვა ერთმა.

– მე ვერ ამოვალ. – ვთქვი მე.

– რატომ?

– ვერ შევხედავ კუბოში მწოლიარე პეტრეს.

– ვერც მე.

– ვერც მე.

და ასე, ყოველ პანაშვიდზე, შევიკრიბებოდით სადარბაზოსთან და გვიან, როცა ყველა წავიდ-წამოვიდოდა, ჩვენც ღამე მშვიდობისას ვუსურვებდით ერთმანეთს. ასე მივაცილეთ საფლავამდე ჩვენი ძმა-კაცი, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე, უბრწყინვალესი თავადი პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი.

* * *

მინაწერი. მოგონებების წერას კაცი მაშინ იწყებს, როდესაც ფეხზე საქელეხე ცხვარს გამოაბამენ (ეს ნალდი კახური გამოთქმაა), როცა სკლეროზი ეახლება და სიკვდილის აჩრდილი აედევნება. ამიტომ მაპატიოს ყველამ, ვისი გვარიც არ მოვიხსენიე. სკლეროზი დანყველილი რამაა. ბოლოს ერთი რამ უნდა განვაცხადო: ჩვენი გაზეთები დაჟინებით ეძებენ ტახტის მემკვიდრეს – იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში...

ბატონებო! პეტრე გრუზინსკი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის ერთადერთი მემკვიდრე. მას ეს ქვეყანა უკვალოდ არ დაუტოვებია: მემკვიდრე დარჩა!

1991 წლის 6 სექტემბერი
ვაშეთი „თბილისი“



ბიძინა კვირნაძე

რომანტიკოსი იყო...

ჩემთვის პეტრეზე ძნელია ლაპარაკი, იმდენად ახლო ურთიერთობა მქონდა მასთან. ის ყველასგან განსხვავებული, უნიკალური კაცი იყო: აღზრდით, ზრდილობით, ნიჭიერებით, არაჩვეულებრივი პოეტი და ღრმად განსწავლული. საშინელი დრო იყო მაშინ. არსებობდა ყველაფრის „კონტროლი“. კეთდებოდა მაქინაციები. წარმოიდგინეთ, გალაკტიონის ლექსებს ასწორებდნენ და ისე ბეჭდავდნენ. ესლა შეიძლება სასაცილოა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაშინ ტრაგედია იყო. პეტრე გრუზინსკისაც არ ასცდა იმ დროის რისხვა...

თითქმის ნახევარი საუკუნე ვიყავით ერთად, პეტრეს სახლში (ლენინის ქუჩაზე) იკრიბებოდა მთელი საქართველოს ახალგაზრდობის ნაღები: თეატრალური საზოგადოება, კომპოზიტორები, პოეტები. მიდიოდა ქეიფი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ღრეობა. პეტრესთან საქმესაც ვაკეთებდით. მაგალითად: გარკვეული პერიოდი მასთან ცხოვრობდა სულხან ცინცაძე. როცა ერთ ოთახში ჩვენ ვისხედით და ვსაუბრობდით, ან ვქეიფობდით, სულხანი მეორე ოთახში თავის მიეჭესე კვარტეტს წერდა... გამოვიდოდა, შემოგვიერთდებოდა, მერე ისევ მუშაობდა და ასე...

პეტრე გრუზინსკისთან შელანზალანდარებულიც კი ვიყავი. ღიმილით მახსენდება: სადღაც ვიქეიფით და მოვდიოდით, მცხეთას რომ მივუახლოვდით, პეტრემ გვითხრა, მამაჩემის საფლავი უნდა გარჩენოთო. შევედით სვეტიცხოველში. ვხედავთ – უზარმაზარი ლოდებია: გორგასალის, ერეკლეს საფლავები... გვატარა, გვატარა და ერთი პატარა შავი ქვა გვაჩვენა – ეს არის მამაჩემის საფლავიო. ვუთხარი: ეს რა „ზაჟიგალკის“ ქვა დაგიდევთ ტახტის მემკვიდრისთვის-მეთქი. ერთი ეკლესიის მსახური იყო იქ, აღშფოთდა: ღმერთო, შენ მიუტევე, რა შეკადრეს ეს ბაგრატიონთა შთამომავალსო...

ერთ მშვენიერ დღეს ქალბატონი ლიკა მგელაძეს გურიაში ვილაც გარდაეცვალა. რა ვიცი, ქონება გაყვეს თუ რა იყო, ლიკას 12 წლის მამალი შეხვდა. ჩამოიყვანეს მცხეთაში. დადიოდა ეზოში, პომიდვრის

ძირებს მთლიანად თხრიდა და ნისკარტით მოჰქონდა. მერე სამხედრო პირებს გადაემტერა ეს მამალი. თუ დაინახავდა, გამოეკიდებოდა, მხრებზე შეაფრინდებოდა და სამხრებს გლეჯდა... ასე ჩამოაქვეითებდა ხოლმე მათ ნოდებით. იძულებული გახდნენ მამალი დაეკლათ. სექტემბერში რომ დაადგეს, ნოემბერში მოიხარშა.

საოცრად კარგ სასიმღერო ტექსტებს წერდა, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო“.

მას, საერთოდ, არაჩვეულებრივი პოეზია ჰქონდა, მეგობრები ვეხვეწებოდით გამოეცა. ხშირად არც იწერდა, ბევრი ლიკამ დაიმახსოვრა ზეპირად და იმან გადაარჩინა დაკარგვას.

რომანტიკოსი იყო... როგორ უყვარდა ლამის თევა ბუნებაში. ვითევე ზავებდით და ლამით დავრჩებოდით კარვებში. საოცრად უყვარდა ცხოველები: სახლში მელია ჰყავდა – კირილე... კაჭკაჭი... ერთხელ იაკობ ბობოხიძემ მითხრა: ნამო, კაჭკაჭი დავიჭიროთო. რად გვინდამეთქი? პეტრეს მივუყვანოთო. მართლაც, დავიჭირეთ, მივუყვანეთ... ის უვლიდა, რალაცას ასწავლიდა და მერე გაუშვებდა.

პეტრე გრუზინსკი იმდენად ახლობელი იყო ჩემთვის, რომ, როგორც თავში ვთქვი, ძალიან, ძალიან მიჭირს მასზე ლაპარაკი. ჩემს ხსოვნაში იგი უნიკალურ ადამიანად დარჩა.



ჩემი ოქროს წლები

პეტრე გრუზინსკი არაჩვეულებრივად მოსიყვარული მეგობარი იყო. მას დიდი საძმო ჰყავდა. ესენი იყვნენ — ლევან ჭუბაბრია, არჩილ ჩხარტიშვილი, კოლია არეშიძე, რეზო ლალიძე, შოთა მილორავა, ბიძინა კვერნაძე, ბიჭიკო საჯაია, სულხან ნასიძე, გურამ მელივა, სულხან ცინცაძე, გოგი ცაბაძე, ლილი გეგელია, კოტე მაკარიძე, განს ბურჯანაძე, ლილი იაშვილი, კონსტანტინე პევზნერი, მარეხ გოძიაშვილი, ედუარდ სეფაშვილი, ჯანსულ კახიძე, ნანი ბრეგვაძე, ნუნუ გაბუნია, ვაჟა აზარაშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ოთარ ლითანიშვილი, კაკი ჭავჭავანიძე, რეზო კვესელავა, მე და მრავალი სხვა.

თითქმის ყოველდღე ვიკრიბებოდით პეტრესთან ოჯახში. ჩვენს სამეგობროს მასპინძლად გვყავდა ყველასათვის საყვარელი ქალბატონი, ჩვენი მეგობარი ლიკა მგელაძე. ასეთი ხშირი სტუმრიანობა იშვიათად მინახავს. თუ არა დიდი სიყვარული მეუღლისა, ძნელია ქალმა აიტანოს ასე ლამაზად და ნარბმეუხრელად, ასეთი ხშირი სტუმრიანობა. ლიკა არამარტო სტუმართმოყვარეობის, იგი სიკეთისა და ერთგულების სამაგალითო თვისებებითაა დაჯილდოებული. ეს იყო არაჩვეულებრივი, დაუვინყარი სალამოები, რომლებიც დიდი სითბოთი და სიყვარულით იყო გაჯერებული. საუბრებს ყოველთვის თამაზობდა პეტრე, მისთვის დამახასიათებელი ხატოვანი ლექსიკით განზავებული იუმორით. განსაკუთრებული იუმორის გრძნობით ჩვენს შორის გამოირჩევა ბიძინა კვერნაძე. სწორედ ბიძინასა და პეტრეს დუეტი იყო ჩვენი საძმოს სიყვარულისა და ლალი ურთიერთობის გამოხატვის უმაღლესი ფორმა.

მახსენდება ერთი სასაცილო მომენტი: ერთ-ერთ სალამოს, კარადის თავზე აკორდეონი შევნიშნე და, ვისია-მეთქი, ვიკითხე.

— უი, შენ ხომ უკრავ აკორდეონზე და რამე დაუკარიო, — მითხრა პეტრემ. ადგა და აკორდეონის ჩამოსაღებად გაემართა. მე ჩემს სიცოცხლეში აკორდეონი ხელში არ მჭერია და არ ვუკრავ-მეთქი — ვუთხარი. როგორ არაო — და მიინევს კარადისკენ. მე კი თავგამოდებით ვეჭიდავები.

მძლია და ჩამოიღო აკორდეონი, გახსნა და თურმე საბეჭდი მანქანა ყოფილა.

ბევრი ვიცინეთ.

უამრავ დროს ვუთმობდით ბუნებაში გასვლას. ნადირობა და თევზაობა იყო ჩვენი დიდი გატაცება.

ხშირად მივდიოდით ლამისთევით არაგვზე, მაშავერაზე, იორზე და აზერბაიჯანის მიდამოებში.

ჩემი და პეტრეს მეგობრობა კიდევ უფრო გააღრმავა ნათელ-მრონობამ. მან ჩემი ერთ-ერთი შვილი მონათლა.

როდესაც სვეტიცხოვლის მოძღვარმა შეიტყო პეტრეს ნება, ნათლობა ჩაატარა მთელი სამეფო რიტუალის მიხედვით.

ასე მოინათლა ია სვეტიცხოველში, საქართველოს მეფეთა გვარის პირდაპირი შთამომავლის პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონის მიერ.

შემდეგ, როდესაც ბავშვი სასკოლო ასაკისა გახდა, პეტრემ მთხოვა 1 სექტემბერს სკოლაში მე წავიყვანო.

მოვიდა დილით მანქანით. თან ჰქონდა იასთვის წინასწარ ნაყიდი სასკოლო ჩანთა და წიგნები. ბავშვი წაიყვანა სკოლაში, შეიყვანა კლასში, დასვა მერხზე, გადასწერა პირჯვარი, დალოცა და გამოვიდა კლასიდან.

ეს ყველაფერი მაშინ ჩვენთვის ისე უბრალოდ გამოიყურებოდა, როგორც სხვა ნებისმიერი ცხოვრებისეული ყოფითი მოვლენა.

პეტრეს უბრალოებასა და უშუალოებას თან ერთვოდა მისი მეფური გენეტიკის დახვეწილი ხიბლი, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ჩვენგან, მისი მეგობრებისგან.

პეტრე უსაზღვროდ ნიჭიერი ადამიანი იყო. მას უდიდესი ლვანლი მიუძღვის ქართული სასიმღერო ფანრის განვითარებაში. იგი არა მარტო ქმნიდა ტექსტებს ქართული სიმღერებისთვის, არამედ გვეხმარებოდა კიდევ ქართველ კომპოზიტორებს შემოქმედებით პროცესში.

ძმავ პეტრე, გმადლობ ყოველი ნუთისთვის, რომელიც ერთად გავატარეთ, ეს იყო ჩვენი ურთიერთობის ოქროს წლები.

დღეს პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში მამის პეტრე ბაგრატიონის გვერდით განისვენებს.

მეგობრის პორტრეტი

მუდამ სევდიანი, ჩაფიქრებული, მარტოობას მოწყურებული ვერ ემალეობდა მეგობრებს. საზოგადოებისაგან ოფიციალურად გამდგარი არ ეძიებდა აღიარებას. სულ თავისი სანუკვარი ლექსის მოძიებასა და მოლოდინში იყო. რომ უყვარდა ახლობლებს, გრძნობდა და აფასებდა. რაფინირებული, ურთიერთობაში მორიდებული, ფიცხი და უსწრაფესი იყო ბუნების ნიაღში, თოფით ან ბადით ხელში. სალამს ვერ მოასწრებდა ვერც დიდი და ვერც პატარა. ამღერებული სულის პატრონმა სამშობლოს სადიდებლად აკი აამღერა პატარაც და დიდიც. განადგურებისა და დამცირებისაგან სისუფთავემ და სიმტკიცემ იხსნეს. სილამაზის მოტრფიალე, საოცარი სინაზით ეძიებდა მშვენიერებას. კიდევ უხვად პოულობდა სხვათა მუსიკაში, პოეზიაში, მხატვრობაში. უხმაურო და მორცხვი, როგორც კი შეიგრძნობდა თანამეინახეთა ზარხოშს, თავდავიწყებამდე ლალობდა. ნასმურევე არასოდეს ნაუბორძიკია. თანდაყოლილი არისტოკრატიზმი ღრეობაშიც კი არ ტოვებდა მას...

დილოში, დუქანში ვსადილობდით. გვერდით მაგიდას მილიციის მაღალჩინოსანი ოფიცრები უსხდნენ. ერთი მათგანი დაჟინებით ათვალეირებდა ბატონ პეტრეს, შემდეგ მზერა სადღაც განზე, უხილავ ნერტილს დაუმიზნა და ხმამაღლა, უცნაური აბსტრაქცია წარმოთქვა:

– ჩშ, ჩშ, ჩშ... ჩშ, ჩშ... ჩშ, ჩშ, ჩშ!

ეს განმეორდა რამდენიმეჯერ. ჩვენც და მისი თანამესუფრენიც სახტად დავრჩით. ჩამოვარდა სიჩუმე. ოფიცერი წამოდგა, წამოვიდა ჩვენი მაგიდისაკენ, ბატონ პეტრეს მკლავები მოხვია.

– ბატონო პეტრე! მე ის ახალგაზრდა ვიყავი, უშიშროების ციხეში გარედან მალულად ექიმის მიერ შემოგზავნილი ბარათი რომ გადმოგეცით, ახალგაზრდობამ გამაბედინა... მრავალი წლის მანძილზე ჩემი საქციელი მოსვენებას არ მაძლევდა – ვაითუ?!. მაგრამ თქვენ უტეხი აღმოჩნდით! მადლობა თქვენ.

ორივეს ცრემლები სდიოდათ, აგვიხსნეს: „ჩშ, ჩშ, ჩშ...“ მეზადრაგეთა ნიშანი იყო. დაკითხვაზე გამოყვანილი პატიმრები ერთმა-

ნეთს რომ არ შეფეთებოდნენ, ნიშანზე ერთ-ერთი კედელზე სახით უნდა მიეყუდებინათ.

აზერბაიჯანში, ევლახში თევზაობის წესები დავარღვიეთ, ვიხუ-ლიგნეთ მცირედ. დაგვაპატიმრეს. საბუთები თან არ გვქონდა. ბატონი პეტრე მანქანაში იჯდა. ჩვენი თავგადასავალის არაფერი იცოდა. აღელვებული შემოიყვანეს განყოფილებაში. ლამაზი, შავგვრემანი, გარეგნულად ვერ ამართლებდა რუსულად ნაწარმოებ თავის გვარს – გრუზინსკი. ჩვენ ვისარგებლეთ მუშაკთა დაეჭვებით, დავინყეთ ახსნა: იგი ბაგრატიონ-გრუზინსკია, მეფის შთამომავალი, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე. ვერ ჭრიდა ჩვენი ახსნა, ოქმი იწერებოდა. ერთ-ერთ ჩვენთაგანს წამოსცდა, რომ იგი პოეტია, „თბილისოს“ ავტორი, – ოქმი დაიხა. მილიციის უფროსი და პროკურორი გულუხვ მასპინძლებად გადაიქცნენ.

რამდენია მოსაგონარი... იქნებ დავინყებასაც მიეცა რამე... დაუ-ვინყარი და მისაბაძია ის, რომ მან თავისუფალი არჩევანი თვითონ მოუპოვა თავის თავს, არავისთვის უთხოვია თავისუფლება. დღეს კი ნამდვილი პოეტის, უშურველი მეგობრისა და დამრიგებელის კეთილ-შობილი სახე მის ამღერებულ პოეზიაში განსხვავებული არ გვტო-ვებს და თან გვახლავს.



პეტრე ბაგრატიონის (გრუზინსკის) გზა ანათემიდან სპეტიცსოვლამდე

საქართველოში რუსეთის ბატონობის კომუნისტურ ხანაზე ჩვენი წარმოდგენა ნაკლები და არასრულყოფილი იქნება მანამდე, ვიდრე ყველაფერს თავის სახელი არ დაერქმევა, არ დაიმხოება ყალბი კერპები და არ გაიფანტება ილუზიები, ვიდრე სრული სახით არ ვეზიარებით ამ დროის ოპოციზიურ კულტურას, პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ ან მასთან შეუთავსებელ ლიტერატურასა და ხელოვნებას. ეს დიდი სულიერი განძია, მთელი კონტინენტი, რომელსაც მხოლოდ აქა-იქ თუ მოჰყვინია ისტორიის მზის შუქი.

როგორც ოპოზიციური კულტურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი წარმოსდგება ჩვენს წინაშე პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი (1920–1984) თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმრავლესობისათვის უცნობი და პატივსაცემი მხარეებით. საყოველთაოდაა ცნობილი მის ლექსებზე შესანიშნავ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი სიმღერები, რომელიც ერის სამუდამო კუთვნილებაა. ისიც ვიცით, რომ იგი, როგორც არავინ, მთელი თაობის მანძილზე გამორჩეული მოვლენა იყო იქ, სადაც მუსიკა, თეატრი, კინო და ესტრადა პოეზიას ხვდება. მაგრამ არანაკლებ საპატიო მნიშვნელობა და სხვაგვარი განზომილება აქვს იმ ნაკლებად ცნობილ ფაქტს, რომ პეტრე ბაგრატიონი იყო პროტესტანტული სულის პოეტი, რომლის ქმნილებებს არაფერი აქვს საერთო იმ დროის ოფიციალურ ლიტერატურასთან. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ მისი ლექსი „შიშში აღზრდილი“ ზვიად გამსახურდიამ ფსევდონიმის საფარველით „ოქროს სანმისში“ გამოაქვეყნა. ილიას „პასუხის პასუხის“ შემდეგ ძნელად მოიძებნება ისეთი ლექსი, რომელშიც მთელი ისტორიული თაობის ზნეობრივი ტრაგედია ასეთი სიმძაფრით იყოს გამჟღავნებული. მე ვიცი, რომ თითქმის ყველა მუსიკოსი პეტრე ბაგრატიონის მეგობარი იყო, მაგრამ მჯერა, რომ ძნელად გაუმხელდა ვინმეს სულის უღრმეს შრეებში დაგუბებულ დარდსა და ტკივილებს. ან ვისთვის უნდა ეთქვა ასეთი დარდი: „დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი?!“

სტუდენტი იყო პეტრე ბაგრატიონი, როდესაც მისი „გამოუქვეყნებელი ლექსები სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში და ხელიდან

ხელში გადადიოდა" – იგონებს მისი თანამედროვე ირინე მაჭავა-რიანი. მოასწრო ხელნაწერი ჟურნალის „ანათემა“-ს ექვსი ნომრის გამოცემა. ამ ჟურნალში მის გარდა მონაწილეობდნენ: თამარ შანშია-შვილი, იზა აღნიაშვილი, მარი აბრამიშვილი, შალვა მჭედლიშვილი. ამ ავტორთაგან ერთ-ერთი თავის ლექსში წერდა: „ჩვენ ამ საღამოს დაგვიჭერენ, მაგრამ რა ვუყუთ! იქაც ფარული ბორკილება ხომ არ გვედება?“ 1945 წლის 23 მარტს „ანათემის“ ჯგუფი დააპატიმრეს. პეტრე ბაგრატიონი ჯერ შინსახკომის ციხეში ჰყავდათ, შემდეგ მოხერხდა მისი გადაყვანა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რომელსაც თავი მხოლოდ 1958 წელს დააღწია.

ვმისობ, რომ დღეს, ლამის საყოველთაო ცინიზმის ხანაში, როდესაც, პეტრე ბაგრატიონისავე ლექსი რომ მოვიშველიო, სინდისი ღალატად, ხოლო გამბედაობა უმეცრებად ითვლება; მკვანნი იტყვიან: განა ღირდა ხელნაწერი ჟურნალისათვის ამდენი ტანჯვა?! ეს ხომ დონკიხოტობაა?! მაგრამ, დამეთანხმებით, ამგვარი ნაბიჯი არა ყოველი გამვლელის, არამედ სულით მდიდართა ხევედრია.

შინსახკომმა და მისმა გაგრძელებამ – ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ, პეტრე ბაგრატიონის სულში ვერ ჩაკლა სამშობლოს თავისუფლების წყურვილი, ვერ ჩააქრო ის, რასაც თვითონ „ძველ ცეცხლს“ უწოდებს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არასოდეს ჩაუცვამს „ჯამბაზის კაბა“. მის სიმღერებსა და ლექსებში ჩანს დიდი სულის პიროვნება – მამულიშვილი, მოქალაქე, რომელიც შინაგანად არ ცნობს და არ ლებულობს ირგვლივ გამეფებულ ბოროტებას, ერთი სიტყვით, ნამდვილი ბაგრატიონია. საგულისხმოა, რომ რევაზ ლალიძის მუსიკაზე სიმღერის ტექსტში ცნობილი სტრიქონები – „დიდება პარტიას! დიდება სამშობლოს!“ – პეტრე ბაგრატიონს არ ეკუთვნის. მის მიერ წარდგენილ ლექსში ეს ადგილი ასე იკითხება: „სამშობლოს მომავალს ვუმღეროთ დიდება! დიდება სამშობლოს, სამშობლოს დიდება!“ არ მეგულება უკეთესი სიტყვები და უკეთესი მუსიკა სქართველოს ჰიმნისთვის.

ამ ორიოდ კვირის წინ მეფე ერეკლეს პირდაპირი შთამომავალი – პეტრე ბაგრატიონი სვეტიცხოველში გადაასვენეს, მაგრამ ამით სამართლიანობას არ უზეიშია და ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც საქართველოს პატრონად ეყოლება არა „ჩინ-მედლებით სავსე, გამცემი“ „კასტრირებული თაობა“, არამედ ისეთი რაინდული და წმინდა სულის ადამიანები, როგორიც პეტრე ბაგრატიონი იყო.

კობა იმეღაშვილი

სიმღერის დაბრუნება

ჩვენმა უახლოესმა ისტორიამ, ისევე, როგორც ნებისმიერმა ისტორიამ, იცის ამალღებისა და დაცემის წლები და ბადებს სიამაყისა თუ სირცხვილის გრძნობას, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ჩვენი ისტორიაა, მისი არც შეცვლა შეიძლება, არც დაეინყება და არც უარყოფა.

რაც არის, არის.

რაც ვართ, ის ვართ.

* * *

ჩვენ ჩვენი ქვეყნის ბოლშევიზაციის დროს ერთხელ უარი ვთქვით წარსულის ამა თუ იმ მოვლენაზე, ამა თუ იმ პიროვნებაზე, კულტურის ამა თუ ფაქტზე, შემდეგ, ზვიად გამსახურდიას დროს, უარი ვთქვით და მოვსპეთ და დავანგრეთ ყვლაფერი, რაც შეიძლებოდა დაგვენგრიან, ახლა, მე მგონი, დადგა დრო, მშვიდად შევაფასოთ ყოველივე, ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინოთ და თავისი სახელი დავარქვათ.

ეს შესაეალი ერთი ამბისთვის როდი დამჭირდა, საერთოდ, დრო არის უკვე მოვლენათა მთელი წყება შევაფასოთ და ჩვენი დამოკიდებულებაც გამოვხატოთ ამ ყოველივესადმი.

აქ ისტორიას თავის პარადოქსებიც შემოუნახავს და თავისი ტრაგიკული სვლებიც.

შორს რომ არ წავიდეთ, რევაზ ლალიძისა და პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ერთობლივ ნაწარმოებზე მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა, ვგულისხმობ პათეტიკურ სიმღერას — „დიდება პარტიას“, რომელშიც მუსიკა უპარტიო კაცს ეკუთვნოდა, ხოლო სიტყვები — ერეკლე მეორის პირდაპირ შთამომავალს, პოლიტიკურზე ნაჯდომ კაცს. რატომ ვუსვამ ამ ყოველივეს ხაზს, ტექსტიდან მიხვდებით:

დიდება პარტიას

როცა მოგვიხმობს პარტია,

აგუგუნდება მთა-ბარი,

მამულს შესწიროს სიცოცხლე

ყველა ჩვენგანი მზად არის.

მისამლერი:

ზეცაზე დიადი და ბრწყინვალე ვარსკვლავი ანთია,
 ძმობის და მშვიდობის ზემის წმინდა დილა ბრწყინდება.
 ლენინს და პარტიას ვუმღეროთ დიდება,
 ლენინს და პარტიას ვუმღეროთ დიდება,
 მოვდივართ დედა სამშობლოვ,
 შენი ნათელი გვარტყია,
 ჩვენი დროშაა ლენინი,
 ჩვენი რწმენაა პარტია!

მისამლერი“.

მაგრამ ტრაგიზმი მოვლენისა უფრო ღრმა არის, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ სიმღერის პირველ და მეორე ვარიანტში, რომელიც დაცულია ბატონ რევაზ ლალიძის სახლში (პირველი ვარიანტი) საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლში (მეორე ვარიანტი, საინვენტარო ნომერი 32/15) და ბატონ პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის არქივში, წარმოდგენილია ის ტექსტი, რომელიც თავდაპირველად შექმნა ბატონმა პეტრემ, თავისი წარმომავლობისა და თავისი იმედების საკადრისად და შესაბამისად:

გვიხმობს სამშობლო

